სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №14 (4589) ● 20 ნოემბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

„სადუნი“ – დიდი მისიის ბაირახტარი

უმრავლოს საქართველოს ოთხგზის და მრავალგზის კაცები!

პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არა ერთი რაი იქმნა, რაოდენი–რაი იქმნა.

(იოანე,1, 1-3)

ღვთაებრივი სიტყვისგან იქმნა და იშვა ყოველი სულიერი და უსულო, ცოცხალი და უსიცოცხლო: თქვა უფალმა, იყოს ნათელი და იქმნა ნათელი... დავკარგეთ სიტყვის ნათელი ძალა. ჩვენმა გაუტანლობამ, მზაკვრობამ, ბოროტებამ, შურმა, ღვარძლმა, ამპარტავნობამ დაგვაკარგვინა ის დიადი ძალა, უფალმა რომ ჩანერგა თავისი ქმნადობის გვირგვინში – ადამიანში. ათად-ათი მცნება დაგვიწესა და, ვთქვათ, რომელს მივყეთ, რომელი დავიცავით? ჰოდა, მოგვეწია ქვა აღმართში, გვიწია ჩვენმა ცოდვა-ბრალმა და კატასტროფისკენ მიექანება დედამიწა...

სიტყვა, გულიდან წამოსული სიტყვა მისხლისოდენად მაინც გვაბრუნებს ღვთაებრივისკენ, თუ ალალია და არა ფარისევლური. შვიდგზის მიმართავს ფარისეველთ, ვაი, თქვენო, მაცხოვარი და ასკვნის: **„იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს!“** (მათე, 3, 7).

ეძიე სიტყვა, სიტყვა, უფალს რომ დაგაახლოებს; ეძიე სიტყვა, შენი არსის, ქმნადობის დვრიტის გამომხატველი, რადგან, თუ ეძიებ, აუცილებლად ჰპოვებ, რადგან, თუ დააკაკუნებ, აუცილებლად გაგეღება და სიტყვა იგი იქნება საწყაო საქმეთა შენთა.



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

შპს **„სადუნის“** (კერძო სკოლის) დირექტორმა, ქალბატონმა **მარიამ ცინცაძემ** ეძია და ჰპოვა, დააკაკუნა და გაეღო. სახელდობრ, რას ეძებდა ქალბატონი მარიამი – სიტყვას. ძირძველ ქართულ სიტყვას, მისი ცხოვრებისეული საქმიანობის, სკოლის ძირითადი მიმართულების არსს რომ გამოხატავდა. ფილოლოგმა ქალბატონმა, ცხადია, იცოდა, სად ჰპოვებდა ასეთ სიტყვას – სულხან-საბას "ლექსიკონ ქართულში“ და, ცხადია, ჰპოვა კიდეც: „სადუნი – სხვადასხვა ენის მცოდნე კაცი“. მაგრამ უმთავრესი სხვაა – ის მრწამსი, რამაც ასეთი სიტყვის საძიებლად განაწყო. დაერქმია სკოლისთვის „პოლიგლოტი“ (სკოლის ყოველი კურსდამთავრებული, სულ ცოტა, 3 უცხო ენას ფლობს, რაზეც ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ) და მოისვენებდა. უცხო სიტყვათა აბდაუბდა კორიანტელში ვინ ჰკადრებდა საყვედურს?! პირიქით, მოუწონებდნენ კიდეც. მაგრამ ქალბატონ მარიამს ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისა სწამს, სურდა ეს სკოლის სახელშივე ასახულიყო და სწორედ ასეთი „კორიანტელი“ დატრიალებულიყო „სადუნში“.

მარიამ ცინცაძე: „ეგ თავისთავად, რა სათქმელია (ეს რეაქცია იყო, ჩემს გულისწუხილზე, ყმაწვილები ქართველ მწერლებს არ კითხულობენ, აი, ვაჟა-ფშაველა მეთქი და...). ქართული კლასიკა უპირველესია. დიახაც, სწავლობენ. სწავლობენ და კითხულობენ კიდეც, რაც სკოლის პროგრამაში არ არის. ქართველმა ჯერ თავისი კულტურა, ისტორია უნდა შეისწავლოს, შეიყვაროს და მერე – სხვა ერების. თუ შენი არ იცი, შენი არ გიყვარს, ვერც სხვისას მიაგებ სათანადო პატივს. ბავშვები ეროვნულ ნიადაგზე, ქართული მენტალიტეტით, შეგნებით უნდა აღვზარდოთ. ცხადია, პარალელურად, მაქსიმალურად ვაზიაროთ სხვა ერების კულტურას, ყოველივეს, რაც ინტელექტს უმაღლებს, სულს უფაქიზებს ყმაწვილებს!“

ქალბატონი მარიამისათვის „სადუნის“ დაარსება მისი შეგნებული ცხოვრების ლოგიკური შედეგი გახლდათ: დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1972 წ.) მუშაობა დაიწყო თბილისის მე-2 გახანგრძლივებული დღის რეჟიმის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; ექვსიოდ წელიწადში ორგანიზატორად დააწინაურეს; შემდეგ – დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; მუშაობდა მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეთოდური განყოფილების სასკოლო სექტორის მეთოდისტად

→ გაგრძელება მე-2 გვ.

„სადუნი“ – დიდი მისიის ბაირახტარი

უმრავლოს საქართველოს ოთხგზის და მრავალგზის კაცები!

პირველი გვერდიდან

(თან მასწავლებლობდა). 1983 წლიდან 166-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო დარგში. 1991 წელს 207-ე ბაგა-ბაღის გამგედ დაინიშნა.

აქ უნდა შევჩერდეთ. 1991 წელი.

ისტორიული ქარტეხილები – ომები, დევნა, გენოციდი, პარტახი მომდევნო ხანის მკვლევართათვისაა საინტერესო, თორემ მათთვის, ვის კისერზეც გადაიარა ამ საშინელებებმა, თავზარდამცემ რეალობად რჩება. თაობები აღიზარდა ბნელში, ომებში, დევნილობაში. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სწორედ ისინი არიან ლტოლვილები, იმათ მოუწყეს გენოციდი, ვისი სახელიც ჰქვია ქვეყანას.

და ამ ძნელბედობის ჟამს, სწორედ გაპარტახებული ქვეყნის „შესაშვენი“ გაპარტახებული ბაგა-ბაღი დაახვედრეს დირექტორს. ვინ დაგვიშლის ვარაუდის გამოთქმას? ჰოდა, ვთქვათ: იცოდნენ, რომ ქალბატონი მარიამი ვერ შეეგუებოდა პარტახს. აუცილებლად გამონახავდა ბაგა-ბაღის აღდგენის გზებსა და საშუალებებს. ანუ, იცოდნენ ვინ და რატომ „მიავლინეს“ მხოლოდ დე იურედ დარჩენილ ბაგა-ბაღში. და, თანდათან, ღია საზოგადოება „საქართველოს“, სხვათა დახმარებით არათუ ბაგა-ბაღი იქცა დე ფაქტოდ, არამედ სკოლის I კლასიც გაიხსნა.

„სადუნში“ ლამის ანშლაგია. მშობლები ენდობიან „სადუნს“, მის პედაგოგთა კოლექტივს, ცხადლივ რწმუნდებიან, რომ მათი შვილები საფუძვლიან ცოდნასაც იძენენ და ზნეობრივ აღზრდასაც, რაც ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების უცილობელი პირობაა, რომ ის „შიდა კულტურა“, რასაც სკოლაში იძენენ ყმაწვილები, „გარე კულტურად“, სრულიად საქართველოს და მის ფარგლებსმიღმა სახელად გარდაიქმნება. გავიხსენოთ „დათა თუთაშხიადან“: შენს სამშობლოში ოჯახის წარმომადგენელი ხარ, მის საზღვრებს მიღმა კი – სამშობლოსიო.

სკოლის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი ხდება სხვადასხვა ხარისხის გრანტით საქართველოსა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში და წარმატებითვე განაგრძნობს სწავლას. სკოლა მუდმივად იღებს სამადლობელ წერილებს აღნიშნული სასწავლებლებიდან.

დავაკონკრეტოთ: 2010-2019 წლებში 100, 70 და 50 %-ანი გრანტებით აშშ-ის მიჩიგანის – სახელმწიფო და ემორის უნივერსიტეტებში, სორბონის უნივერსიტეტში, პარიზისა და ბარსელონის ბიზნესის სკოლებში, ვარშავის, ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტებში „სადუნის“ 19 კურსდამთავრებული ჩაირიცხა; საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში – 104. ოქროს მედალზე დაამთავრა გასული სასწავლო წელი ხუთმა მოსწავლემ; ვერცხლისაზე – ორმა.

განათლების სამინისტროს პროექტის „ინგლისური ენა საქართველოში და დიდ ბრიტანეთში“ გამარჯვებული გახდა 11 სადუნელი

სკოლა პედაგოგით იწყება და პედაგოგითვე მთავრდება. არა აქვს მნიშვნელობა დირექტორია თუ მოადგილე – ისინიც, უპირველესად, პედაგოგები არიან და სადაც შეგნებული აქვთ, რომ მასწავლებლობაა ყველაზე დიდი თანამდებობა, სულიერი მდგომარეობა, როცა მრწამსი, შინაგანი ძალისხმევა გიხმობს დიდი მისიის – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივ-მორალურად მდგრადი თაობების აღსაზრდელად, იქ ეს მისია სრულდება კიდეც.

სწორედ ამ მისიის სრული შეგრძნებით იღვწის „სადუნის“ 52-ვე პედაგოგი.

მენტორი მასწავლებელი (ამ ხარისხის სულ 207 პედაგოგია), ფილოლოგიის აკადემიური ხარისხის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **მაკა კორშია:** „ამ სკოლაში 2008 წლიდან ვარ. ბევრჯერ შემომთავაზეს სხვადასხვა ადგილი, მაგრამ „სადუნს“ ვერ შეველიე. საოცრად კომფორტული, შემოქმედებითი გარემოა. საუნივერსიტეტო გამოცდილება კი მქონდა, მაგრამ პედაგოგად აქ ჩამოვყალიბდი. სწავლების ხარისხსა და შედეგებზე ვართ ორიენტირებული. დირექცია ძალზე გვიწყობს ხელს მუშაობაში. შემოქმედებითი თავისუფლება გვაქვს. კოლეგები ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვესწრებით გაკვეთილებზე, ვმსჯელობთ, შენიშვნებიც გვაქვს და ყოველივე სწორედ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ანუ ბავშვების სასიკეთოდ კეთდება.“

კიდევ ერთი შტრიხი პორტრეტისათვის: ბაგა-ბაღი რომ წამოაყენა ფეხზე ქალბატონმა მარიამმა, ინგლისური ენის მასწავლებლად **შორენა მერაბიშვილი** მიიყვანა. ახლა ის „სადუნში“ ინგლისურსაც ასწავლის და... თანადირექტორიცაა. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს უძღვება. ბევრი გეგულებათ ხელმძღვანელი, ასე რომ გამოზარდოს კადრი?

ვიდრე სკოლის სპეციფიკაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თავისებურებებსა და მრავალ ღონისძიებაზე, კონკურს-ოლიმპიადებში მოსწავლეთა წარმატებებზე ვიტყოდე, ერთი ნიუანსი უნდა აღვნიშნო. თითქოსდა წვრილმანია, მაგრამ სწავლა-აღზრდაში წვრილმანი არაფერია.

სადუნელებს თავისი სასკოლო ფორმა აქვთ. და დისციპლინაც აქედან იწყება. მერწმუნეთ, აღზრდისათვის ეს ძალზე ბევრს ნიშნავს – ფორმა გულისხმობს, რომ სკოლაში ხარ და მოსწავლის შესატყვისად უნდა მოიქცე. საჯარო სკოლების ჭრელა-ჭრულობის ფონზე, აქაური მოსწავლეები მოწესრიგებულობითაც გამოირჩევიან, რაც თავიდანვე წესრიგს, დისციპლინას აჩვევს ახალგაზრდებს. სადუნელებს მაშინვე გამოარჩევთ ზრდილობითა და თავდაჭერით. ამასაც ხომ ცხადლივ ხედავენ მშობლები?

სწავლების პირველი საფეხურებიდანვე ისწავლება ინგლი-

გაგრძელება მე-3 გვ.

„სადუნი“ – დიდი მისიის ბაირახტარი

უმრავლოს საქართველოს ოთხგზის და მრავალგზის კაცები!

მეორე გვერდიდან

სური, ხოლო მეორე კლასიდან კი – რუსული ენა. ასეა XII კლასის ჩათვლით. მეორე საფეხურიდან (V კლასი) მოსწავლეები





გერმანული, ფრანგული და ესპანური ენებიდან ირჩევენ ერთ-ერთს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კურსდამთავრებულმა სამი უცხო ენა იცის, შეუძლია სხვებსაც დაეუფლოს.

გაკვეთილების შემდეგ პირველი საფეხურის მოსწავლეები დამრიგებელ-კოორდინატორთა მეთვალყურეობით ამზადებენ გაკვეთილებს. თუ რომელიმე მოსწავლემ ვერ გაიგო რაიმე საკითხი, საგნის მასწავლებელი დამატებით ამეცადინებს მას. ასეა 17 საათსა და 30 წუთამდე. ბავშვები სადილობენ კიდეც, რაც სწავლის გადასახადში შედის.

მომდევნო საფეხურის მოსწავლეები უკვე 16 საათსა და 30 წუთამდე მეცადინეობენ. მომდევნოსი – უფრო ნაკლებს. იგულისხმება, რომ მოწაფეები ეჩვევიან დამოუკიდებლად მუშაობას, რაშიც პედაგოგები ძალზე უწყობენ ხელს.

და კიდევ: გაკვეთილების მომზადებას აუცილებლად მოჰყვება წიგნიერების სააათი, სადაც ბავშვები, ასაკის შესატყვისად კითხულობენ, ისმენენ, მსჯელობენ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებზე. სკოლის ბიბლიოთეკარის, ქალბატონ **ნანა გოგიბერიძის** თქმით, მოსწავლეები II კლასიდანვე ხდებიან ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებლები. საერთო უწიგნურობის ფონზე, „სადუნს“ მხოლოდ ამის გამოც ეკუთვნის უდიდესი მადლობა!

„სადუნში“ მშობლებთან ურთიერთობა, მათი სკოლის ცხოვრებაში ჩართულობა ერთ-ერთი პრიოტიტეტულია.

სახელდობრ: სასწავლო წლის დაწყებისთანავე, შესაბამისი კლასების დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა შეფასების სისტემა და სკოლის ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დამრიგებელი მუდმივად აცნობს მშობლებს შვილების მიღწევებსა და ყოფაქცევას. ადმინისტრაციასა და დამრიგებელ-კოორდინატორებს მუდმივი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან. იმართება ინდივიდუალური შეხვედრები, საკლასო კრებები, კავშირია წერილობითაც. პარასკეობით მოკლე დღეა, მშობლები სკოლაში შედიან და იღებენ ინფორმაციას მათთვის საჭირო საკითხებზე. მშობლები მონაწილეობენ სკოლის თვითშეფასების პროცესების შედგენაში.

ჩავუკვირდეთ: სკოლა მშობლებს თავის შეფასებას ანდობს. ანუ ეუბნება მათ, მკითხეთ და მოგიგებთო. სკოლა მთლიანად

გახსნილია ურთიერთობისთვის.

სადუნელები მშობლებს ეწვევიან ხოლმე სამსახურებში. ცხადია, ამას კონკრეტული მიზანი აქვს – პროფესიული ორიენტაცია. ამ მიზნით ეწვივნენ სკოლის მე-10 და მე-11 კლასელები **„თბილისი მარიოტს“** სასტუმროს ბიზნესის უკეთ გასაცნობად. მასპინძელი გახლდათ სადუნელების მშობელი **დავით ჭავჭანიძე.** ასევე, მშობლის მიწვევით (**ანდრო ბედუკაძე**) ესტუმრნენ **ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს**, სადაც წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ცისფერყანწელები“. სკოლას მინიჭებულ აქვს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის მეგობრის ტიტული. და სამშობლოს სიყვარულის შეგრძნებაზე უკეთესი პროფესიული ორიენტაცია რომელია?!

სკოლასაც ესტუმრებიან ხოლმე: აშშ-ის საელჩოს მთავარი იურისტი, ქალბატონი **ნატა წნორიაშვილი** საელჩოს თანამშრომლებთან ერთად ეწვია „სადუნს“ და ლექციაც წაიკითხა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად იმართება მრავალი ღონისძიება: ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც წარმოჩენილია ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების დამღუპველი ზემოქმედება; მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტის გასაფართოებელი მრავალი ვიქტორინა და კონკურსი; ღონისძიებები ყმაწვილების სამოქალაქო ცნობიერებისა და პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად.

აღსაზრდელთა თვალსაწიერის მაქსიმალურად გასაფართოებლად, მათში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლადაც ზრუნავენ, რისთვისაც მრავალი ღონისძიება ტარდება: გასვლები გამოფენის პარკში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმებში, წიგნების მაღაზიებში, აქცია „აჩუქეთ წიგნი“, „მხიარული სტარტები“ და სხვა.

გამოსაყოფია ძეგვის მიუსაფარ ბავშვთა სახლში გამართული ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო აქცია.

ნინო ცინცაძე – დირექტორის მოადგილე ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით: „სასწავლო გეგმაშივეა გათვალისწინებული მრავალი შემოქმედებითი და სპორტული აქტივობა, რაც ბავშვების ჰარმონიულად აღზრდისთვისაა გამიზნული. საამისოდვეა გამიზნული მეტყველების, წიგნიერების, ხელოვნების კლუბები. ასევე: ქართული ცეკვა, დასავლური ლიტერატურა და მსოფლიო კულტურა, „ჩატურანგა“, „რა? სად? როდის?“, სამხატვრო სახელოსნო, მსოფლიო ხალხთა ცეკვების სტუდია, რუსული კლუბი „მოსტიკი“, სამუსიკო სტუდია, გოეთეს, ზოგადი უნარების, მათემატიკისა და მკვლევართა კლუბები; შემოქმედებითი შეხვედრები, საღამოები, ნაწარმოებთა განხილვები, სპორტული შეჯიბრებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში... ვცდილობთ მოსწავლეებს, ცოდნასთან ერთად, ესთეტიკური გემოვნება გამოვუმუშაოთ, შევაყვაროთ წიგნი, წიგნიერება, ზოგადად ხელოვნება და – ცხოვრების ჯანსაღი წესი“.

მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას ისახავს მიზნად მათ სოციალური მოსწრების შეფასება სათანადო ცხრილის მიხედვით, რაც პიროვნული და მორალური განვითარების შემდეგ პრინციპებს მოიცავს: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, კრიტიკული აზროვნება, ცოდნის გამოყენება, საპრეზენტაციო უნარები, შემოქმედებითობა, ლოგიკური აზროვნება.

თუ გამოიკვეთა, რომ რომელიმე მოსწავლეს, შეფასების ცხრილის შედეგების მიხედვით, დამატებითი მეცადინეობა სჭირდება, დამრიგებელ-კოორდინატორი, საგნის მასწავლებელთან ერთად ადგენს მასთან (მათთან) მუშაობის განრიგს და მომდევნო სემესტრში რეგულარულად მიმდინარეობს მუშაობა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. სასწავლო წლის ბოლოს, შეფასების ცხრილის განხილვისას, სუსტ მოსწავლეთა მოსწრება მკვეთრად უმჯობესდება.

***

მაგიდაზე მიწყვია „სადუნიდან“ წამოღებული სკოლის ძალზე ტევადი, მრავლისმომცველი მუშაობის დამადასტურებელი კიდევ მრავალი ინფორმაცია, რაც ამ დიდ საგაზეთო წერილშიც ვერ ჩავტიე. მაგრამ უმთავრესი, ვგონებ, წარმოჩინდა: „სადუნი“ აღსაზრდელზე, მათ ცოდნასა და კეთილდღეობაზე, ჰარმონიულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაზე მთლიანად ორიენტირებული სკოლაა, სადაც ყოველ პედგოგს გასიგრძეგანებული აქვს დიდი მისია – სამშობლოსათვის მცოდნე, ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე თაობების აღზრდა.

სწორედ ეს ეროვნული სული ტრიალებს „სადუნში“.

კოტე ოდიშელიძე

P. S. უკვე ითქვა „სადუნი“ მრავალი ენის მცოდნეს ჰქვიაო. ქართული ანდაზა გვარწმუნებს, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. თუ ამ ანდაზას დავუჯერებთ, „სადუნის“ ყოველი კურსდამთავრებული ოთხგზის კაცია, რადგან, მშობლიურთან ერთად, სულ ცოტა, კიდევ სამ ენას ფლობს.

უმრავლოს საქართველოს ოთხგზის და კიდევ მრავალგზის კაცები!

NATALI ACADEMY: იმას ასწავლიან, რაც ყველაზე უკეთ უწყიან

ნატალია თოლორაია: „ხარისხი ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობაა!“

გონიერ კაცს უთქვამს, ცუდად ცოდნას სულაც არცოდნა ჯობსო. ცუდად ცოდნა დილეტანტიზმია, რაც ყველა დარგსა და სფეროს ღუპავს. მას ერთი ძალზე „ქედმაღლური განშტოებაც“ აქვს: ცუდად ცოდნით (რომ გვგონია, ვიცითო) რაიმეს მიმართ ზერელე, სამწუხაროდ, აგდებული დამოკიდებულებაც კი.

თმის სტილისტის/პარიკმახერის სპეციალობა ავიღოთ. ვითომცდა რაო, მაკრატელი, სავარცხელი, ჩხაკ-ჩხუკ და მორჩა, გათავდა – თმა შეკვეცილია. მაგრამ ხომ არ ვიცით, რომ ეს ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა და, სავარაუდოდ, სათავეს ძველი ეგვიპტიდან იღებს. თუნდაც, ცნობილი ეგვიპტური პარიკები გავიხსენოთ კვლავ რომ შემოვიდა მოდაში ასე, XVII საუკუნიდან. პირველი პროფესიონალური სკოლა კი 1893 წელს გაიხსნა ჩიკაგოში. ბევრი პროფესია დაიკვეხნის ამ ხნის ისტორიას?

ესეცა ვთქვათ: დიდხანს ფეხზე დგომის გამო, მიდრეკილია ვენების ვარიკოზული გაგანიერების, ართრიტისა და ართროზის, ხერხემლის დაავადებებისკენ. ახლა სხვადასხვა ქიმიკატთან და საღებავთან მუშაობა... პროფესიაც როგორი მრავლისმომცველია: ფართო პროფილის პარიკმახერობა კოლორისტობას, კოლორისტშემსრულებლობას, ბრეიდერობას, მამაკაცის სტილისტობას, ბარბერობას, ბავშვების პარიკმახერობას მოიცავს. მერედა, ჰიგიენის როგორი ნორმების დაცვაა საჭირო?

ასეთი დიდი პასუხისმგებლობა აწევთ პარიკმახერებს და, ზოგადად, სილამაზის სფეროს მუშაკებს.

მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია იმათ, ვინც ამზადებს ამ დარგის სპეციალისტებს: თმის სტილისტ/პარიკმახერებს; კოსმეტოლოგებს, SPA-თერაპისტებს, ვიზაჟისტებს, მანიკიურისა და პედიკიურის სპეციალისტებს (მანიკიური ევროპული, იაპონური, ესპანური, ამერიკული ყოფილა და ფრჩხილის დიზაინიც ამაში შედის), სილამაზის სალონის ადმინისტრატორებს, რადგანაც მათი მუშაობის ხარვეზი, შესაძლოა, კლიენტის ჯანმრთელობაზე აისახოს.

მაგრამ არის საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY, ვინც თამამდ აიღო ეს პასუხისმგებლობა და მართლაც კვალიფიციურ, ძალზე მოთხოვნად კადრებს ამზადებს „სილამაზის სფეროსთვის“. მისი ხედვაა **ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პიროვნების პროფესიულ და ინდივიდუალურ განვითარებას, სილამაზის ინდუსტრიის მომხმარებლებსა და სპეციალისტებს სწავლების ყველა ეტაპზე შესთავაზებს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას და სილამაზის მომსახურებას საზოგადოების ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომს გახდის.**

აკადემიის ღირებულებებია: **ორიენტაცია ხარისხზე, მომხმარებელსა და განვითარებაზე, გუნდურობა, პროფესიონალიზმი.**

როგორ შეიქმნა აკადემია?

NATALI ACADEMY არის NATALI GROUP-ის წევრი, რომელიც სილამაზისა და ესთეტიკის სფეროში წარმატებული მოღვაწეობის ოც წელზე მეტს ითვლის. „NATALI“ სილამაზის სამყაროში ძლიერი, ქართული ბრენდია. ამ სახელით პირველი სილამაზის სალონი თბილისში 1995 წელს გამოჩნდა. დღეს NATALI GROUP-ი მომხმარებელს სთავაზობს სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრს, რომელიც აერთიანებს – საპარიკმახერო, ფრჩხილებისა და კოსმეტოლოგიურ სერვისებს, ექსკლუსიურ სპას Germaine de Capuccini-სგან, სოლარიუმ კლუბს, სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც საქართველოში წამყვან ევროპულ ბრენდებს წარმოადგენს, ესთეტიკურ ცენტრს „ნატალი ანტიეიჯ კლინიკასა“ და აკადემიას.

აკადემია დაარსდა 2008 წელს, „Image Academy N“-ის სახელით, რომელიც წარმატებით ახორციელებდა სასერთიფიკატო კურსებს სალონური მომსახურების სფეროში. დაარსებიდან დღემდე, აკადემიის კურსდამთავრებულები სალონური მომსახურების სფეროში ყველაზე მოთხოვნადი კადრია. ისინი ადვილად საქმდებიან პრესტიჟულ სალონებში და იქმნიან წარმატებულ პროფესიულ კარიერას. ამან განაპირობა აკადემიის დამფუძნებლების გადაწყვეტილება, განეხორციელებინათ ფორმალური განათლება.

2014 წელს აკადემიამ შეიცვალა სახელი და ეწოდა NATALI ACADEMY. აკადემიის ადმინისტრაციამ, NATALI-ის წამყვან სპეციალისტებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე, შეიმუშავა სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განსახორციელებლად მოიწვია საუკეთესო სპეციალისტები. 2015 წელს NATALI ACADEMY-მ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიპოვა.

„ნატალი“ მსოფლიოს ცნობილი ბრენდების ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოსა და რეგიონში. აკადემია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ბრენდებთან: GERMAINE DE CAPUCCINI, FRAMESI, CLARISSA, MALLETI, SUNTACH, DEPILEVE, TECNOSOLE, THAT-SO, SO, CAP, GOLDSIN, silverfox, saunaitalia,selenia. იყენებს მათ პროდუქციას სასწავლო პროცესში, იმართება მასტერ-კლასები და სემინარები მსოფლიო ბრენდების ტოპ-სტილისტებისა და სპეციალისტების მიერ.

აკადემია დაარსებიდან არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, არჩეულია ასოციაციის გამგეობაში. 2015 წელს აკადემიის საქმიანობა, ასოციაციის ბრენდირების კომისიამ სამი ვარსკვლავით შეაფასა. 2016 წელს კი – NATALI ACADEMY ბრენდირების უმაღლესი შეფასების, 5 ვარსკვლავის მფლობელი გახდა.

NATALI ACADEMY 2015 წელს ჩაერთო WorldSkills Georgia-ს პროექტში და მისი ოფიციალური სპონსორი გახდა. 2017 წელს, საპარიკმახერო საქმეში WorldSkills Georgia-ს რიგით მესამე ეროვნულ კონკურსს აკადემიამ უმასპინძლა. მასში აკადემიის 3 კურსდამთავრებული: **ქრისტინა პარუნოვა, კარინა ჯუმუტია** და **მარიამ პირველი** მონაწილეობდა. მათ დიდებული შემოქმედებითი უნარი და პროფესიონალიზმი გამოავლინეს, **ქრისტინა პარუნოვა** საუკეთესო იყო, ხოლო **მარიამ პირველი** – მეორე.

NATALI ACADEMY-ს უპირატესობაა, რომ სილამაზის ინდუსტრიის რეგიონალურ ბაზარზე ლიდერი ჯგუფის – NATALI GROUP-ის წევრია, რომელიც მსოფლიოს ტოპ-ბრენდების – GERMAINE DE CAPUCCINI, FRAMESI, CLARISSA, MALLETI, SUNTACH, DEPILEVE, TECNOSOLE, THAT-SO, SO, CAP, GOLDSIN, silverfox, saunaitalia, selenia – ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ჯგუფს მრავალპროფილური ობიექტები (სილამაზის სალონები, Natali Wellness Lad, natali Dry Bar, Natali Anri Age Clinik, Natali Spa Concert, Natali Distribution) და საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, მათ შორის, არაფორმალური სწავლების, ხოლო ფორმალური განათლების სისტემაში ის 2015 წელს ჩაერთო.

აკადემია პოპულარობით სარგებლობს ქვეყნისა და მის ფარგლებს მიღმა რასაც ხელს უწყობს NATALI GROUP-ის მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია. 2018 წელს ბიზნეს რეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის მიერ, NATALI GROUP-ს საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის ჯილდო გადაეცა.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის NATALI ACADEMY მისიაა, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვეა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას.

2017 წელს NATALI ACADEMY-ს დირექტორი და დამფუძნებელი, ქალბატონი **ნატალია თოლორაია** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის მხარდაჭერისა და საპარიკმახერო საქმის პროფესიულ უნარებში ეროვნული კონკურსის ორგანიზებისათვის, **საპატიო სიგელით** დააჯილდოვა.

ასეა, როცა იმას ასწავლი, რაც ყველაზე უკეთ უწყი.

ნატალია თოლორაია: „ხშირად მეკითხებიან, – რატომ ფორმალური განათლება, მით უფრო, რომ კანონმდებლობა ამას არ ითხოვს? ჩემი პასუხი ასეთია: სილამაზის ინდუსტრია იმდენად მზარდ და მოთხოვნად დარგებს მოიცავს, ამასთან, იმდენად საპასუხისმგებლოა და ბევრი მაღალი რისკის შემცველი მომსახურების სფეროა, რომ, ვფიქრობ, კვალიფიკაციის გარეშე ამ დარგში არავინ უნდა მუშაობდეს. ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები კვალიფიკაციებთან, სამუშაო გარემოსთან, შრომის უსაფრთხოებასთან მიმართებაში. ყველაფერი ეს მარტივად შესაძლებელია ერთად მოექცეს ფორმალური განათლების ჩარჩოებში. პირადად ჩემთვის მიუღებელია

გაგრძელება მე-5 გვ

NATALI ACADEMY: იმას ასწავლიან, რაც ყველაზე უკეთ უწყიან

ნატალია თოლორაია: „ხარისხი ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობაა!“

მეოთხე გვერდიდან

სამედიცინო განათლების ან პროფესიული კვალიფიკაციის გარ-

ეშე ინექციური კოსმეტოლოგიის, ლაზეროთერაპიის პროცედურებისა ან მასაჟისა და სპა-პროცედურების. მხოლოდ სერთიფიკატის დონეზე მიღებული ცოდნით ჩატარება. რა თქმა უნდა, სხვა თემაა პროფესიული გადამზადება.

რატომ დაარსადა ნატალი აკადემია? ჩვენი ერთგული მომხმარებლისთვის კომპანიის ისტორია კარგადაა ცნობილი. 1995 წელს დავარსდით და ისე მოხდა, რომ პოპულარული მალევე გავხდით, საჭიროებამ მოითხოვა მასშტაბების გაზრდა, რაც პროფესიონალი კადრების მოძიებას გულისხმობდა, რომ მაღალი დონის სერვისი შეგვეთავაზებინა. ეს კი, სერიოზული პრობლემაა დღესაც, არათუ მაშინ, იმ წლებში. სწორედ ამიტომ, თავად დავიწყე საკუთარი კადრის მომზადება და გაზრდა. შემდეგ ნატალის სპეციალისტებთან მომზადებისა თუ კვლიფიკაციის ამაღლების მსურველები გამოჩნდნენ და ყოველივე ამან გვიბიძგა შეგვექმნა სასწავლო ცენტრი, რამაც საბოლოოდ ის სახე მიიღო, რაც დღეს გვაქვს.

ვამაყობთ, რომ ჩვენ მიერ მომზადებულ კადრებზე მოთხოვნა მაღალია. თუმცა მასშტაბები მაინც მოკრძალებული გვაქვს. ჩვენთვის საინტერესო უფრო ხარისხია, ვიდრე რაოდენობა. შეუძლებელია ამ პროფესიების შესწავლა დიდ ჯგუფებში. სწავლება ძალიან სპეციფიკურია. პედაგოგს, ფაქტობრივად, ინდივისუალური მუშაობა უწევს თითოეულთან. სწორედ ეს განაპირობებს ხარისხიანი კადრების მომზადებას. ხარისხი ხომ ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობაა!“

„ნატალის“ ხარისხის პოლიტიკა თეზისურად ასეა ჩამოყალიბებული: „ჩვენი მიზანი საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და ჩვენი პროდუქციის, კურსდამთავრებულთა მიმართ ნდობის გაღრმავებაა. თითოეულმა მუშაკმა, სტუდენტმა უნდა გაითავისოს ხარისხის მენეჯმენტი, პასუხისმგებლობა...“

აკადემიის მუშაობა მდინარის დელტასავით იტოტება და მრავა ლპროექტს მოიცავს. სახელდობრ, ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა და პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას. მის ფარგლებში ასრულებს მამაკაცის სტილისტისა და სტილისტ-კოლორისტის მოკლევადიან პროგრამებს. ასე მოამზადეს უკვე 53 მოსარგებლე.

სკოლის მოსწავლეების შრომითი უნარების განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით, განათლების სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ორი პროექტი განხორციელდა 51-ე და 58-ე საჯარო სკოლებში. ამ პროექტის ფარგლებში, სკოლებში შეკეთდა და მოეწყო შესაბამისი სასწავლო-სამუშაო სივრცეები. მოსწავლეები ძალზე დააინტერესა პროექტმა. ბოლო მეცადინეობაზე კონკურსი გაიმართა. მოსწავლეებმა შეძენილი უნარ-ჩვევები პრაქტიკულად გამოავლინეს და თავისი ფანტაზიით შეასრულეს ვარცხნილობები. გამარჯვებული „პროფესიონალის ფენით“ დაჯილდოვდა. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი და აკადემიაში სწავლის სურვილისას 20 %-ანი ფასდაკლების ვაუჩერი.

დამეთანხმებით, ძნელია ამაზე უკეთესი პროფესიული ორიენტაციის წარმოდგენა. მით უფრო, რომ ყმაწვილები იმთავითვე ხედავენ აკადემიის ზრუნვას, რაც 20 %-ან ფასდაკლების ვაუჩერშიც გამოიხატება.

საქართველოში ეროვნული კონკურსი პროფესიულ უნარებში WorldSkills Georgia – 2012 წელს დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანი საქართველოში პროფესიული განვითარების პოპულარიზება, ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა. 2012 წლიდან WorldSkills Georgia, WorldSkills International-ის წევრია.

NATALI ACADEMY, NATALI GROUP-თან ერთად, 2013 წლიდან პროექტის სპონსორია. ამ პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ ეროვნული ექსპერტებიც, რომელთა რიცხვში აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი **მაია მორჩილაძეცაა.**

პროფესიულ პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობა **ქართული ენის მოდულის გავლაა,** რომლის მოცულობაც 15 კრედიტია. მხოლოდ მოდულის – „ქართული ენა“ – სწავლის შედეგების დადასტურებისას აქვს პირს უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განაგრძოს სწავლა.

აკადემია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შშმპ) მიღების პროცედურის (საბუთების მიღება, გასაუბრება/ტესტირება) მათ საჭირობებზე მორგებასა და თავისებურებების გათვალისწინებას.

ამასთანავე, შშმ პირმა, ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, სააპლიკაციო განაცხადთან ერთად, მიმღებ კომისიას დამატებით უნდა წარუდგინოს განცხადება შეზღუდვის თავისებურებების აღწერითა და შესაბამისი ინსტიტუციის/პირის მიერ გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა აკადემიამ შესაბამისი პირობები უზრუნველყოს.

გამოყოფილია დამხმარე პერსონალი/ასისტენტი; ადაპტირებულია გარემო (აუდიტორია, სანიტარული წერტილი, პანდუსი) – დაწესებულების სასწავლო სალონ-სტუდიის პირველ სართულზე გამოყოფილია პერსონალი, შექმნილია მულტიდისციპლინარული ჯგუფი.

ნებადართულია გამოიყენონ ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც სჭირდება კონკრეტული შეზღუდვის პრობლემის გათვალისწინებით.

სმენადაქვეითებულნი იყენებენ ხმის გამაძლიერებლებს.

ხელის მოტორიკის დროებითი შეზღუდვისას წერილობით შეფასების დროს, აპლიკანტი, აკადემიის პერსონალის დახმარებით, გამოსაცდელი პირის კარნახით ავსებს ტესტს, ასრულებს წერილობით დავალებას;

მხედველობის დროებით პრობლემისას (ზეპირი გამოცდისას) გამოსაცდელ პირს აკადემიის პერსონალი უკითხავს საგამოცდო მასალას; წერითი გამოცდისას გამოსაცდელი პირის კარნახით ავსებს ტესტს/ ასრულებს წერილობით დავალებას.

სუსტი მხედველობის მქონე პირისთვის – უზრუნვეყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური განათება არანაკლებ 300 ლუქსისა;

მეტყველების მოშლის, სმენის დაქვეითების მქონეთათვის შეფასების ნაცვლად, წერითი გამოცდა ტარდება.

ეს ხომ დიდებულია. აკადემია მართლაც ყოველმხრივ ზრუნავს, ყველა პირობას უქმნის უნარშეზღუდულთ სოციუმში ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ უმთავრესი ის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულებაა, რასაც აკადემიის კოლექტივი ავლენს.

როცა ჩემი და ჩემზე უფროსი თაობები „ჩაგვრეცხეს“, 41 წლისა გახლდით. დღემდე არ გაგვნელებია გულისტკივილი და ასეთი დამცირებით მიღებული შეურაცხყოფა.

მით უფრო გამიხარდა: ლიბერთი ბანკის ინიციატივით, აკადემია პროგრამა პლუს 60-ს ახორციელებს, რაც ამ ასაკის ქალბატონების სათანადოდ მომზადებას გულისხმობს. უკვე გადამზადდა 30 ქალბატონი. მათ სერთიფიკატი მიიღეს. მეორე ჯგუფი კი ნოემბრიდან სწავლობს. ბევრმა გამოთქვა საკუთარი სილამაზის სალონის გახსნის სურვილი, რაშიც აკადემია კვალიფიციურად დაეხმარება.

***

ვამთავრებ წერილს და ვგრძნობ, თავისთავად როგორ ვივსები პატივისცემით სილამაზის ინდუსტრიის მუშაკებისა და იმათ მიმართ, ვინც ასეთ სათუთად, რუდუნებით, დიდი პასუხისმგებლობით ამზადებს ამ დარგის სპეციალისტებს.

ეს პატივისცემა „ნატალი“ აკადემიისა და ნატალი ჯგუფის მრავალმხრივი, შემოქმედებითი და მიზანდასახული მუშაობის გაცნობამ აღმიძრა, რისი სრულად გადმოცემა საგაზეთო წერილში ვერა და ვერ მოხერხდება.

მადლობა მათ!

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. ასევე მადლობა „ნატალი აკადემიის “ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ ქალბატონ **სალომე ოსიშვილს**, ვისმა პროფესიონალიზმმა და გულისხმიერებამ გახადა შესაძლებელი ამ წერილის დაწერა.

ალმასელთა „ანი“ და „ჰოე“

შორენა ხუჭუა: „ჩვენი ძალა და სიცოცხლე ჩვენი მოსწავლეები არიან!“

თექვსმეტი წელიწადი. ცოტაა, თუ ბევრი? გააჩნია რისთვის. მერწმუნეთ, ეს არცთუ დიდი დროა ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისე დასალაგებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თითქმის მთლიანად საკუთარი ძალებით გასამართავად და პედაგოგთა ისეთი გუნდის ჩამოსაყალიბებლად, რომ 2003 წელს შვიდად-შვიდი მოსწავლით დაწყებული, ამ მცირე დროში ლამის 300 შეგირდამდე გაზარდო. რამდენ პროცენტიანი მატებაა?

აღზრდის, განათლების პრობლემა მარადჟამს აქტუალურია. მას ყავლი არ გასდის. ოღონდ, დროის შესატყვისად იცვლება მისი ხერხები და მეთოდები. არსი კი იგივე რჩება – სულიერად და ზნეობრივად ჯანსაღი, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა. ამიტომაა დასანახი და დასაფასებელი განათლების დარგის ყოველი პროფესიონალი, მოწოდებით პედაგოგი. მათ მხრებზე დგას ზემოთ მოხმობილი სწორედ რომ ხელი-ხელ საგოგმანები მისია.

თუ ისინი, ვისაც უპირველესად ევალებათ ასეთ პედაგოგთა დანახვა და დაფასება, „ყრუვდებიან“ და „ბრმავდებიან“, სწორედ იმათ დაინახეს და დააფასეს კერძო სკოლა „ალმასისის“ მთელი კოლექტივის ღვაწლი, ვისი დაფასებაც ყველაზე ფასეულია პედაგოგისთვის – მშობლებმა. მეტი დაფასება მართლა რაღა უნდა იყოს? შვილები ანდეს! აი, ასე „იბარტყა“ შვიდმა – სამასამდე.

აქაურმა 33-ვე პედაგოგმა, რომელთაგან 12 – უფროსი, 17 – პრაქტიკოსი და 4 მაძიებელი მასწავლებელია, კარგად უწყის, რომ სწავლა-აღზრდას საწყისსასრული არა აქვს. იგი დროის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ეტევა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, შეიძლება ითქვას, უკიდეგანოა და პადაგოგი, რაც უფრო მეტ თავისას, სულსა და გულში გამოტარებულს ჩააქსოვს მასში, შედეგი უკეთესი იქნება.

სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად – ძნელი, მაგრამ „ალმასელები“ ახერხებენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს დანერგონ სწავლა-აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამიზნული სიახლეები, ხოლო გაკვალულში ეძიონ და ჰპოვონ ის გზები და საშუალებები, რაც მეტად დახვეწს, მოსწავლეთათვის უფრო ადვილად აღსაქმელად აქცევს უკვე გამოცდილს. პედაგოგებს ძალუძთ ისე მოარგონ სასწავლო პროცესს განვლილი და განცდილი, ისე მიიტანონ აღსაზრდელამდე, რომ სიახლის განცდა არ განელდეს; მრავალჯერ გამეორებულს მოუნახონ განსხვავებული თვალთახედვა, მიდგომა. სწორედ ეს განაპირობებს წინსვლას, პროგრესი რომ ჰქვია.

გამართულად, მიზანმიმართულად და შემოქმედებითად მუშაობს ექვსივე საგნობრივი კათედრა და ეს მუშაობა ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და ხორციელდება საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიული სრულყოფის გზების დასახვა; წარმატების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა.

შარშან სამი ოქროს მედალოსანი ჰყავდათ: **სალომე მუხიგულაშვილი, ანა დემურია, ნინო ზურებიანი.** სკოლიდან წავიდნენ ღვაწმოსილი პედაგოგები: **მარიკა მუმლაძე, თამარ მამულაშვილი** და **თამარ ახალაძე.** წავიდნენ ყოველგვარი ე. წ. ჯილდოს გარეშე. კერძო სკოლის პედაგოგი „ნამდვილი პედაგოგი“ არ არის?!

თუმცა ამ და სხვა საკითხებზე „ალმასის“ დირექტორს, **ბატონ ზურაბ ბიწაძეს** მოვუსმინოთ. განათლების სისტემაში თითებზე ჩამოსათვლელადღა შეგვრჩა მასებრ გამოცდილი სპეციალისტი, განათლებით, არსითა და მრწამსით პედაგოგი, ვინც 1983 წლიდან ემსახურება მომავალი თაობების აღრზდის რთულსა და საპატიო საქმეს, მასწავლებლობა რომ ჰქვია.

ზურაბ ბიწაძე: კერძო სკოლების მასწავლებლებს ხელფასებზე არავითარი დანამატი არ ეძლევათ, არც – დაზღვევა, არც უფასოდ მგზავრობა, არც ე. წ. საჩუქარი მიიღეს პენსიაზე გასვლისას. ყველაფერი ეს მხოლოდ საჯარო სკოლების პედაგოგებისთვისაა. ე. ი. კერძო და საჯარო სკოლების მასწავლებლები კოლეგებიც არ ყოფილან. ისიც სათქმელია, საჩუქარი კი იყო, რომ გაიძახიან საჩუქარი, საჩუქარიო? არ იცოდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან და ესღა მოიფიქრეს. ასე დაასაქმეს მრავალი უმუშევრებიდან რაღაც ნაწილი. ესაა და ეს. პედაგოგი პრაქტიკული საქმიანობით უნდა ფასდებოდეს და არა მოგონილი გამოცდებით. ჭეშმარიტი მასწავლებლის პროდუქტი მოსწავლის ცოდნაა. აი, ეს შეამოწმონ და მასწავლებლის ვარგისიანობა თუ უვარგისობა ცხადი გახდება.“

თუ ბუნების კანონით ერთნაირად დამუხტული სხეულები განიზიდებიან, განგებას კაცობრიობისათვის აუცილებელი ასეთი „უცნაურობაც“ მოსდგამს: ნიჭით, ნებით, უნარით, სიყვარულით ერთნაირად დამუხტულ და ანთებულ ადამიანებს შეახვედრებს, შეადურაბებს და ერისა და ქვეყნის მსახურებად ხელდასხამს.

ასეთია „ალმასის“ პედაგოგთა კოლექტივი. ასეთი სულისკვეთებით წარმართავს კოლეგებთან მუშაობას და თავადაც მასწავლებლობს დაწყებით კლასებში დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **შორენა ხუჭუა.**

სათანადო დარგის ფსიქოლოგთა მტკიცებით, პირველი შეხვედრისას შთაბეჭდილება სულ რაღაც 30 წამში ყალიბდება და, უმეტესად, აღარ იცვლება. ქალბატონ შორენასტან შეხვედრისას შთაბეჭდილება ასეთია – **ადამიანი თავის ადგილზე.**

რატომ?

მისი ცხოვრებისეული კრედოა: ჩემი პროფესია ყველაზე საპატიო და საამაყოა ამქვეყნად, რადგან **„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა.“**

მართლაც ასეა და ყოველი ჩვენგანი, ბრძენებიც, ეგზიუპერის თქმისა არ იყოს, ბავშვობიდან მოვდივართ. სწორედ დაწყებითი კლასების ასაკში ყალიბდება ყმაწვილების ფსიქოტიპი. რაოდენ რთულია განსხვავებული ხასიათის, შესაძლებლობების პატარების დაინტერესება, დისციპლინისთვისთის მიჩვევა, სწავლების ისე წარმართვა, რომ ყმანვილებმა ხალისიანად, ლამის თამაშ-თამაშ შეიყვარონ სწავლა. ამას მრავალი, სწორედ ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე ზედმიწევნით გათვლილი საგანმანათლებლო ღონისძიებები დაურთეთ, რაშიც მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი და დარწმუნდებით, რაოდენ ნამდვილად რთული და საპატიო, პასუხსაგები მისია აკისრიათ საზოგადოდ, დაწყებითი კლასების მასწავლებლებსა და, სახელდობრ, **შორენა ხუჭუას.** მისი წარმატების უტყუარი ბარომეტრი კი სადამრიგებლო III კლასის ყმაწვილების გაბრწყინებული სახეებია, არათუ შორენა მასწავლებლის დანახვისას, ხსენებისასაც კი.

სკოლის წარმატებებზე მესამე პირში ლაპარაკობს. გამოკვეთავს, რომ ეს, უპირველესად, მთელი კოლექტივის დამსახურებაა, მაგრამ ხომ ვიცით – სათანადო ხელმძღვანელობის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად დაგეგმვა-წარმართვის გარეშე, რაშიც მოადგილეს დიდი წვლილი მიუძღვის, პედაგოგთა კოლექტივის მარგი ქმედების კოეფიციენტი გარჯაზე ნაკლები იქნებოდა. თავმდაბლობა კი ერთი სათნოებათაგანია. ხომ გვმოძღვრავს უფალი, ვინაც თავი დაიმდაბლოს, იგი ამაღლდესო.

ქალბატონი შორენა უფროსი მასწავლებელია და კოლეგების პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის მენეჯერიც. „ალმასში“ 2007 წლიდანაა და უკვე ასეთი ავტორიტეტი მოიპოვა. მას სწამს, რომ განათლების სისტემის საშველი მხოლოდ სწავლების ხარისხის ამაღლებაა, რაშიც აუცილებელია სახელმწიფო ნება. სასწავლო პროგრამები ქართულ მენტალიტეტზე უნდა იყოს მორგებული და არა ბრმად გადმოღებული ამა თუ იმ ქვეყნიდან.

„ჩვენი სკოლა მიღწეულს არ დასჯერდება! ილიასეული თერგის დარად – მოძრაობა და მოძრაობაა, ჩემო თერგო, ცხოვრებისათვის ძალისა და სიცოცხლის მიმცემიო. ჩვენი ძალა და სიცოცხლე კი ჩვენი მოსწავლეები არიან და სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად უნდა აღვუზარდოთ,“ – მითხრა დასარულ ქალბატონმა **შორენა ხუჭუამ.**

ასეც იქნება – „ალმასი“ მიღწეულს ნამდვილად არ დასჯერდება და აქაურ პედაგოგთა „ანი“ და „ჰოე“ მოსწავლეები არიან.

კოტე სარალიძე

გამარჯობათ,169-ე ბაგა-ბაღელებო!

ყველაფრით ლამაზი, მათ შორის - დიზაინით

თბილისის 169-ე ბაგა-ბაღი არ არის სტანდარტული საბავშვო დაწესებულება. იგი განსაკუთრებით გამოირჩევა ლამაზი დიზაინით, მხატვრული აპლიკაციებით, მინიატურებით, შესანიშნავად მოხატული კედლებით, მრავალფეროვანი ყვავილებით და თვალსაჩინოებებით. ბაღის მესვეურების ხელით შექმნილია ის საოცარი სილამაზე, რომელიც მხატვრული ნამუშევრების საგამოფენო სივრცეს მოგაგონებთ და ამასთან ზღაპრულ სამყაროში გამოგზაურებთ. მაგრამ მაინც



უფრო გამორჩეულია შრომისმოყვარე პროფესიონალებით.

ბაგა-ბაღს ნამდვილად ეტყობა მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი ისედაც მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია ყველა თანამედროვე საჭირო ინვენტარით. აქ მეგობრული, მშვიდი გარემოა და პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს. დირექტორის ძალისხმევით, ბაღში ბევრი რამ გაკეთდა და სამუშაო პირობებიც გაუმჯობესდა. პროფესიონალთა გუნდი, პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე თავდაუზოგავად იღწვის და ამიტომაც მშობლებიც კმაყოფილნი არიან. გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა და მსურველთა რიცხვიც ბევრია. აქ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას, პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიმზიდველად ტარდება სეზონური ზეიმები და ღია გაკვეთილები.

ქალბატონი **მერი ტყეშელაშვილი** მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც დირექტორად დაინიშნა, თუმცა, ბაღში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. იგი, ჯერ მეთოდისტად, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

მერი ტყეშელაშვილი: ჩვენი ხელმძღვანელობის პერიოდში ბაღში, სიმშვიდემ და სიწყნარემ დაისადგურა. მყავს შესანიშნავი კოლექტივი და ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. აქ ეტაპობრივად, მოწესრიგდა სველი წერტილები, ოთახები, დარბაზი, სამზარეულო. განახლდა სათამაშოები, მეთოდური და საბავშვო ლიტერატურა. ბაღში მოიმატა ბავშვთა რაოდენობამ და სულ 535 პატარაა. **„სასკოლო მზაობის პროგრამა''**-ში ჩართულია ბაღის 200 აღსაზრდელი. პატივს ვცემთ ერთმანეთის აზრს და ერთად ვზრუნავთ იმისთვის, რომ ცუგრუმელებმა თავი ბედნიერად იგრძნონ. სამომავლოდ ბაღში დიდი სარემონტო სამუშაოებია დაგეგმილი. ჩვენი ბაღი უფრო გალამაზდება. დიდი მადლიერება და კმაყოფილება მინდა გამოვხატო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მიმართ, რადგან მხარში გვიდგას და გვეხმარება. ბაღში ირიცხება 23 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელი, მათთან მუშაობისას ჩართულია მულტიდისციპლინარული გუნდი და ზრუნავენ ინკლუზიური გარემოს შექმნის გაუმჯობესებაზე. გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები ესენია: ლოგოპედი **სოფო კაპატაძე,** ფსიქოლოგი **ნათია საცერაძე,** სპეც.პედაგოგები **ანნა ჯოგლიძე, სალომე მოდებაძე** და **ლელა ზაზაშვილი**.

დირექტორს მხარში უდგას მაღალკვალიფიციური საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **თინათინ აბრამიშვილი**. ასევე, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნანა ნაკაიძე**, საქმისმწარმოებლები: **ლალი ნიაური, ნინო ბარდაველაძე** და **ნინო სახელაშვილი**. ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი **ნატო კიკუაშვილი.**

აქ დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებით პროცესს. ზეიმებში და სადღეასწაულო ღონისძიებებში ჩართული არიან მუსიკის პედაგოგები **მანანა ჯიბლაძე, ნანა კუპატაძე** და ცეკვის მასწავლებელი **დიანა ბიწაძე.** ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **ნანული ავალიანი, მარო თურმანიძე, ნინო ჯანიაშვილი, გულნაზ ბერძენიშვილი,ნიაზ გოგოლაშვილი,ნატალი ბერიკიშვილი, მარიამ გელაშვილი, ხათუნა ზოზიაშვილი, ნადეჟდა კვირიკაშვილი, ნინო მერაბიშვილი, ნათია ფოლადაშვილი, ლია დალაქიშვილი, მარინე ქალიაშვილი, ნატო ჩიღუნაძე, ნანა წერეთელი, ლელა კუპრეიშვილი, მარინე ფანჩულიძე, თამარ მაღლაკელიძე, ქეთევან ჯავახიშვილი, მეგი გძელიძე, მარიამ ყუშიტაშვილი, მარინე ტყეშელაშვილი, ნათია ფირცხელაშვილი, სოფიო სარქისიანი, მაგული შეყლაშვილი, მარიამ ტალიაშვილი, მეი ცუცქირიძე, თინათინ შოშიაშვილი, მანანა მჭედლიშვილი, ზოია მიქაძე, ეკა ბარბაქაძე, დალი ისაკაძე, ნაზიკო ფოცხვერაშვილი, ციცინო მირუაშვილი, გუგული ბედინაშვილი. ლიანა კუპრეიშვილი, თემურ ბაზიერაშვილი, თამაზ ტარშავიშვილი, ბეგლარ მიქაძე, ლოვა ვანოიანი,** რომელთა თავდაუზოგავი შრომით, აქ მუდამ სისუფთავე და წესრიგია. სწორედ, ერთობლივი და გუნდური მუშაობის წყალობით 169-ე ბაგა-ბაღი სულ უფრო მშვენდება და წარმატებებს აღწევს.

ანანო სამელია

ბიწაძე, ლალი მეგრელიშვილი, რუსუდან ყვავილაშვილი, მაყვალა ნათაძე, ციალა აბჟანდაძე, ნინა სამხარაძე, ფატმა კურატიშვილი, გვანცა ბერძენიშვილი, შორენა ყოჩიაშვილი, ლელა ბაღდავაძე, ციცინო წულუკიძე და **ნათია ჭაბაშვილი.**

აღსაზრდელებს გემრიელ საკვებს უმზადებენ მზარეული: **ზოია გძელიძე,** მისი დამხმარეები: **ზაირა ლომიძე, სოფიო მაზიაშვილი** და **მარინე სადაღაშვილი.**

დირექცია განსაკუთრებულ მადლობას უცხადებს ბაღის ტექნიკურ პერსონალს, **ნინო ლეკიაშ-**

პოეზია უპირველეს ყოვლისა

პოეტის პოეტური პალიტრა

ლიკა ხარჭამაძე პროფესიით ექიმია, დაიბადა 1979წ-ის 14 მაისს აფხაზეთში, ბავშვობა სამეგრელოს დედაქალაქში - ზუგდიდში გაატარა, ამჟამად ცხოვრობს თბილისში. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი, ლუკა და სანდრო კიკალეიშვილები.

წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, წერდა ბევრს, ჩუმად, თავისთვის... მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდება წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში... ფიქრობს კრებულის გამოცემაზე...

„ჩემი შინაგანი ხმის გათვალისწინებით პედაგოგი ან ჟურნალისტი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ რატომღაც ყველასთვის მოულოდნელად შევცვალე გადაწყვეტილება და სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავაბარე, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ექიმი სტომატოლოგი ვარ, წერა არასდროს შემიწყვეტია, დღესაც ერთბული ვრჩები პოეზიისა და მუსიკის... '' - აღნიშნა ლიკამ ჩვენთან საუბარში.

ლიკა წელიწადზე მეტია ემიგრაციაშია, ენატრება ყველაფერი მშობლიური, ამბობს რომ ემიგრანტობა ძალზედ მძიმე ჯვარია, ოცნებობს თითოეული ქართველი, ვინც იძულებით იმყოფება საზღვრებს გარეთ, დროულად დაუბრუნდეს თავის კერას, ფესვებს.

***

გათენდა. ისევ გავცდი ნაპირებს,
თან მომყვა ჩემი სიზმრის ამქმელიც,
ვერ ვნახე ვერსად ის, ვინც აპირებს ,
ღმერთსაც და კაცსაც, უთხრას სათქმელი...
გაორებული სულით დავდივარ,
უფლის მწამს, მაგრამ, კაცის უფრორე,
ვინც ვეღარ შესძლო წასვლა ადვილად,
ვისაც სულს ქვეყნის დარდი უჩქროლებს!
გათენდა. ისევ გავცდი ხრიოკებს,
შუკებს, ბილიკებს, ქუჩებს, ლიანდებს.
სურვილს, ჩიტივით გულში, ვიოკებ
ადრინდელსაც და უფრო გვიანდელს...
გავრბივარ. ღმერთო, ჩემი ცის ფთილა,
მტერს რომ აუწვა შუბლი ის არი,
როგორ ვიარო ნელა და ფრთხილად
თუ მიხმობს მიწა "ნაკრწანისალი?!"
თუ ვიცი, სადღაც ახლოა მტერი,
ვინც შხამს მაწვეთებს, როგორც გალენურს,
თუ ვიცი ზიზღის და შურის მტვერით
მაწვდიან "შარბათს" სისხლში გარეულს?!
გათენდა. შუბის წვერზე დგას სული,
მზესთან ერთად და იმკის მოსამკელს,
არ მეკარება თვალებზე რული,
ვიცი, ამაოდ ვეძებ მოსაგრეს.
არასდროს მტოვებს ფიქრის კორომი,
ყველგან ვარ მაგრამ, მაინც არსაით,
გადატენილი ლექსით ოროლი.
მობჯენილი მაქვს შუბლზე ბრმასავით.
ხელისცეცებით რომ ეძებს სასხლეტს
რომ ვერ გამოდგა დარდის მკალავი
და, ტკივილიანს დავათრევ სახსრებს...
და, მემძიმება უკვე კალამი...
გათენდა. ისევ გავცდი ნაპირებს
თან მომყვა ჩემი სიზმრის აღმქმელიც,
ჯერაც ვერ ვპოვე ის, ვინც აპირებს
ღმერთსაც და კაცსაც, უთხრას სათქმელი.

წერილი დედას...

მოგიკვდი დედი, რახანია აღარ ვარ არსად,
ბერწი დღეების რახანია მომყვება ჯარი...
აი, ეს ღამეც გათენდება საცაა თარსად,
ისე თარსად რომ, ვერ უშველის ხატი და ჯვარი!..
მოგიკვდი დედი... ეს, უბრალოდ არ ვიმჩნევ სიკვდილს,
უბრალოდ, ასე დავიჯერე ნაკლებს გატკენდი,
გადავაბიჯე მდუმარებას, ღალატს და სირცხვილს
და ახლა ისე მიახლდება ყველა ნაკბენი.
სისხლი მდის მლაშე, ნაჭრილობევს ღია აქვს პირი
(ან რა მოარჩენს, შენ არ ხარ და არც ღმერთი სადმე),
ნაკლებს ვიცინი, უფრო მეტად მტკივა და ვტირი,
ო, ისე ვსტირი, მეშინია არ მოგწვდეს ცამდე...
მოგიკვდი დედი, შენს ნაფერებ შვილს ვეღარ მიცნობ,
შენი თითების სურნელება შემომრჩა არსად,
თუ მიხარია, უფრო სწორად მახარებს ის, რომ
მალე ღამდება, დღე, რომელიც გათენდა თარსად!..
მოგიკვდი დედი, რახანია მოვკვდი და ამათ
არც კი იციან ჩემ აქ ყოფნას თუ ჰქვია ყოფნა...
ასეა დედი, წახვედი და გაგიხდი ავად,
ვერ ვიმყოფინე სიყვარული მცირედის მყოფმა!..
მოგიკვდი დედი... ახლა, არც შენ დაგეძებ არსად
თითქოს, არ მღრღნიდეს მონატრების აზრი და ჯავრი,
ეს ერთი ღამეც გათენდება საცაა თარსად,
დე, ისე თარსად, ვერ უშველის ხატი და ჯვარი!..

გირშელ...

გზებია დაღიანი, გირშელ
ბედად აუკრიათ ცოდვის ჯანღი
განა მე არ გიშვებ - გიშვებ...
ოღონდ ნუ მექნება შენი დარდი!..

მთებში ნისლებია ჩაკირული
ღმერთი გაუწყრაო ადიშს...
შენ ვინ დაგიშავებს რამეს,
თავად ალმასგილის ბადიშს?!.

შენს თავს ნუ უმტყუვნებ ოღონდ,
სიფრთხილეს არ სტკივაო თავი,
უთქვამთ, წინაპრებს და გირჩევ
ფართოდ გაახილე თვალი!..
ჭიუხებს მოერიდე მაინც,
ტანი სველი აქვთ და მლაშე,
ფეხი არ დაგიცდეს, რა იც,
მერე სადღა ნახავ მაშველს?!.

დილაა სხვანაირი გირშელ,
ავად იმზირება შხარა...
განა მე არ გიშვებ - გიშვებ,
ოღონდ დამიბრუნდი ჩქარა!..

ლახვარს მიმზადებენ მგონი,
შხელდა, ლაჰილი და ჯანღა
სადმე არ გიმტყუნოს ბედმა,
სადმე არ გიმუხთლოს ჯანღმა!..

თითქოს, მიმაჩვიე ლოდინს,
მიდიხარ, ბრუნდები და ისევ...
სახლში მონატრებას ტოვებ,
რიჟრაჟს სანადიროდ მისდევ.

ხმები დარხეულა სოფლად,
დალი უნახავთო დალარს,
მეტი რაღად მინდა დარდი,
გული ეჭვით სავსე დამაქვს...

განა მარტოობა მზარავს,
როცა, რომ დაბრუნდე - გიშვებ!..
ოღონდ, არ გამცვალო სხვაში,
ოღონდ, მე გიყვარდე ისევ!..
****
გზებია დათარსული გირშელ,
ბედად, აუკრიათ ცოდვის ჯანღი...
განა, მე არ გიშვებ - გიშვებ,
ოღონდ, ნუ მექნება შენი დარდი!..

დათილ...

დათილ, მზის ამოსვლას ამოყევ ვეჟო!
გვერგიშერს ჩამოხსენ ყაწიმები!
მოდი, დაეხსენ ნატვრითვალებ!
მოდი, მოიყოლე არწივები!
დათილ, იწურება გიშრისადარ
ღამე, ვით საწნახელს შირაკენი,
მოყევ მზისამოსვლას, მოგახურო
ჩოხა თოვლისფერი - შინნაკერი!
ჩემი თეთრი ხელით შეგიკერე
შენი ნაკოცნით და ნაფერებით,
ყველა ცრემლი გვირისტს ჩავაყოლე,
ყველა ღამე - თეთრად ნათენები...
დათილ... ჰოი, დათილ, დალალები
უნდა თავსასთუმლად გაგიფინო,
უნდა მოგიშუშო ჭრილობები
უნდა მართვეები აგიფრინო...
რძისფერშალ მოხვეულ დაგიხვდები
ხოხბისყელ დახრილ და უძინარი,
გიამბობ სიზმრებზე - დობილებზე
ღამეზე, რომ გახდა უწყინარი...
დათილ, ჩემო დათილ, დევის ტოლო
დალარში ირმის რძით გამოზრდილო,
უნდა ყველა შიში, ყველა წყენა,
თონის ფიჩხებივით გამოვზიდო...
გულიდან, შეგასახლო რადგან უნდა
რადგან, უნდა ღმერთებს გავეჯიბრო,
ადიშის ნისლივით უშენობას,
უნდა გავექცე და გავემიჯნო!
დათილ, ჰოი დათილ, სად გეძებო?!
იქნებ, დაჭრილი ხარ, ქარაფებზე?!
იქნებ, დაგიღამდა სულის სწორო?!
იქნებ, ვდარდიანობ არაფერზე?!
დათილ... მზის ამოსვლას ამოყევ ვეჟო!
გვერგიშერს ჩამოხსენ ყაწიმები!
მოდი, დაეხსენ ნატვრითვალებ!
მოდი, მოიყოლე არწივები!..

***
მე ერთხელ მომკლეს... მომთიბეს,
როგორც გაზაფხულობით თიბვენ ლაშქარებს!..
გარდაცვალება იქნებ კარგია მაგრამ,
სიკვდილზე ფიქრი მაჩქარებს...



დავრჩე მიწასთან, ცასთან და მზესთან
იმედს ყოველდღე რომ მიწილადებს
თორემ, ოდესღაც მომიზღავს ღამე
სასჯელს და შემკვეცს, როგორც წილადებს!..
მანამ კი, ხარბად ვისუნთქავ ჰაერს
(თუ კი სიცოცხლის პატივი დამდეს),
მე ერთხელ მომკლეს და იმ წუთიდან
სიკვდილზე ფიქრი ფეხდაფეხ დამსდევს.
მე ერთხელ მომკლეს, მომთიბეს როგორც,
გაზაფხულობით თიბვენ ლაშქარებს!..

ჰოი, გივარგილ...

ჰოი, გივარგილ, ჩამომდგარა ლაჰილზე ნისლი,
მზებუდობაა მოწეული ზამთრისპირულის...
სისხლი ტაატით უჩქროლდებათ, ჩვენებრ, ბერფუყებს
ან, საერთოდაც, არცააქვთ სისხლი...
ჰოი, გივარგილ, ცარიელ გზებს ჰგვანან მაჯები,
ერთ დროს ბალღების ნატერფალებს რომ იშუშებდნენ,
ერთ დროს ჩქეფებად რომ სდიოდათ ოფლის ღვარები,
ერთ დროს მოძმისთვის არაფერს რომ, არ იშურებდნენ...
ჰოი, გივარგილ, უჭირს შენს მხრებს ზიდვა ტკივილის,
თვალები მზეებს ახლა ღამით თუ ისიზმრებენ,
ხრიოკებს ჩრდილი თუ აფიქრებთ, ახლა შენეულ
თორემ, რკინისებრ ნაბიჯები სადღა არიან...
ჰოი, გივარგილ, წაუღიათ ღმერთებს სინორჩე,
გზა გასავლელი, ჰგავს წლებისგან მღილნაჩვევ ყავარს,
ჰოი, გივარგილ, რა გვაცოცხლებს ამ ყიამეთში?..
- ალბათ, ჯერ კიდევ, ერთმანეთს რომ, ვუძლებთ და
ვყავართ!..
ჰოი, გივარგილ, ჩამომდგარა ლაჰილზე ჯანღი,
მზებუდობაა მოწეული ზამთრისპირულის...

***
ტანში გამცრიან ოქტომბრის მერე
აყეფებული ცივი ქარები,
მომიწევს ზიდვა სიმწუხრის როგორც,
ეზიდებიან გუთანს ხარები...
აღმუვლდებიან ნისლები მთებში,
ექნებათ ჟინი მიწამდე დახრის,
არც მომკითხავი იქნება ვინმე,
არც მოსურვილე, ამ დარდის ნახვის...
არც შენ იქნები არსად და, ჰოი,
მე რით გავუძლო, ამდენ ვაებას,
როცა არახარ, როგორღა შევძლებ
ან მოწეულის დაბინავებას?!.

***
ჭრელია სამყარო მირონიონ,
ცოტა მაჟორი, მეტი - მინორიო
თავს იხრჩობს გეგონება, ცაზე მთვარე
იწვის (სირცხვილისგან) მინდორიო...
ძველია სამყარო მირონიონ,
ცოდვა - მეტი ნაკლები მირონიო...
მლოცველი არა ჩანს არსად თორემ,
აქვეა გრემლი და ილორიო...
მთავრდება (მგონია) მირონიონ
ყოფა - ცინიკურ -ირონიონ
გავდივარ თამაშიდან (დავიღალე)
სუფთა ჰაერზე მსურს ვირონიო...
შენც მომყევ, თუ ღმერთი გწამს,
მირონიონ!..

გვერდი მოამზადა ირმა მეგრელიამ

რამდენიმე სიტყვა 217-ე საჯაროზე

პატარა სკოლის დიდი საქმეები



ოქრო პატარაა, მაგრამ ყველაზე ძვირფასია. ეს სენტენცია იმიტომ მოვიხმე რომ თბილისის 217-ე საჯარო სკოლა კონტინგენტით არის მცირე, თორემ აქ დიდ, პრესტიჟულ სკოლებზე არანაკლები გატაცებით მოღვაწეობენ პროფესიონალი პედაგოგები. რატომღაც საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, თითქოს გარეუბნის სკოლები უფრო დაბალეფექტიანია. რომ ეს ასე არ არის, ერთ მაგალითზე მოგახსენებთ. გარეუბნისაა 106-ე საჯარო სკოლა, რომლის დირექტორი გახლავთ **თენგიზ გულორდავა**. აქ ისეთი შედეგებია მიღწეული, კლასიკურ გიმნაზიასაც კი შეშურდება.

დირექტორ **რუსუდან ქელდიშვილის**, მისი მოადგილე **ნატალია ფუხაშვილის,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მაკა ახალკაცის** ოქროს ხელებით დარაზმული პედაგოგები მაღალი შედეგებისთვის იბრძვიან.

ზოგად საუბარს კონკრეტიკა სჯობს. რა გაკეთდა და რის გაკეთებას აპირებენ? მოკლედ მოვიშველიებთ სტატისტიკას.

სკოლას ახალი სასწავლო წლიდან შეემატა 1 მენტორი მასწავლებელი - **მანანა ნუცუბიძე** და 1 წამყვანი მასწავლებელი **მზია პირველი.**

სულ სკოლაში არის 25 პედაგოგი,მხოლოდ 2 მასწავლებელია პრაქტიკოსი, რომლებიც სტატუსის ასამაღლებლად გადიან გამოცდებზე.

სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის ხელმძღვანელი **ქეთევან შველიძე**, მათემატიკის - **ლელა გაბარაშვილი,** უცხოური ენების - **ლია ზამთარაძე,** საზოგადოებრივი მეცნიერებების - **ხათუნა მათიაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - **ქეთევან შენგელიძე**, ესთეტიკური მეცნიერებების და სპორტის - **ირმა ლიპარტელიანი**, დაწყებითი საფეხურის - **ირმა გაბათაშვილი.**

გაიხსნა 2 პირველი კლასი, ყველა მოსწავლეს დაურიგდა ბუკები და ახალი სახელმძღვანელოები, მათ შორის **გოგებაშვილის „დედაენა“.**

გასულ წელს გვყავდა 4 მედალოსანი მოსწავლე 3 ოქრო და 1 ვერცხლი.

ცხრა კლასის წარჩინებით დამთავრებისათვის 6 მოსწავლე დაჯილდოვდა პერსონალური კომპიუტერით.

„კოკა-კოლას“ მიერ გამართულ შეჯიბრებაში ფეხბურთში სკოლის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა სამგორის რაიონის სკოლის გუნდებს შორის და მოიპოვა **კვარიათის** საგზური, სადაც საქართველოს ყველა რაიონიდან გამარჯვებულ გუნდებს შეხვდნენ, საპრიზო ადგილი დაიკავეს და თასით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.



წამყვანი მასწავლებელი **მზია პირველი** არის ექსპერტი **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში. სკოლა აქტიურად არის ჩართული ციფრული ტექნოლოგიების პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქმნიან და ნერგავენ სასწავლო პროცესში ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს, დაწყებით საფეხურზე აქტიურად მუშაობენ კომიქსების შექმნაზე.

დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ოლიმპიადებში და კონფერენციებში, საიდანაც დიპლომებით და სიგელებით ბრუნდებიან.

ასეთი მუშაობით გამარჯვება ახლოსაა.

ბორის ხარებავა



წარმატების სერტიფიკატი

თბილისის №217 საჯარო სკოლა

სკოლის მიღწევები:

» მერვე ადგილზეა რაიონში იმ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობით, რომლებმაც ეროვნულ 2019 წლის გაზაფხულის სერთიფიკატის მათემატიკის ოლიმპიადაზე გახდნენ ფინალისტები

» საუკეთესო ხუთეულში რაიონში იმ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობით, რომლებმაც ეროვნულ 2019 წლის გაზაფხულის სერთიფიკატის მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურში დაიმახსოვრეს დიპლომი

2019 წლის გაზაფხულის სერთიფიკატზე, 2018 წლის შემოდგომის სერთიფიკატთან შედარებით, თქვენი სკოლის საშუალო ქულა "ეროვნულ" ოლიმპიადებზე:

» ქართული ენის ოლიმპიადაზე გაუმჯობესდა 53%-ით

» ინგლისური ენის ოლიმპიადაზე გაუმჯობესდა 33%-ით

» მათემატიკის ოლიმპიადაზე გაუმჯობესდა 7%-ით

02.09.2019
გაცემის თარიღი

"ეროვნული" დირექტორი
დავით ანანიაშვილი

ღია ლექცია ბიზნესის პრინციპებზე

საიდან იწყება ეკონომიკური აზროვნება?







მოსწავლე—ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მათემატიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებამ, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების სამეწარმეო საქმიანობაში უნარ—ჩვევების ამაღლებაზე, სექტემბრიდან დაიწყო საჯარო ლექციების კურსი: ჩემი მომავალი ბიზნესი, რომელსაც უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვაჟა კაკაბაძე**. კურსის მიზანია: მსმენელს აუხსნას ბიზნესის მართვის ძირითადი არსი, ფორმები, მისი მნიშვნელობა და დაანახოს საქმიანობის ამ სფეროში ამოცანების დასმის და გადაწყვეტის შესაძლებლობები. ასევე, გააცნოს ბიზნესის რეგულირების ინსტრუმენტების თანამედროვე სტრატეგია და შეუქმნას წარმოდგენა ბიზნესის სისტემის მართვის პრინციპების შესახებ. მეწარმეობის კურსის გავლა შეუძლიათ ბიზნესის დაგეგმვისა და მართვით დაინტერესებულ ახალგაზრდებს

ეკონომიკური აზროვნება (მითოლოგია, ბიბლია, ყურანი) თეორია და პრაქტიკა - ეს თემა გახლდათ რიგით მეორე ღია ლექციის მსჯელობის საგანი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ეროვნული სასახლის მესვეურები, ასევე, სკოლის მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

ვაჟა კაკაბაძე: მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მომიწვიეს, რათა მოვამზადო გარკვეული ჯგუფი და მათ შევასწავლო ბიზნეს-გეგმის შედგენა. ამ საპატიო საქმიანობაში მეხმარებიან ეროვნული სასახლის დირექტორი **თინათინ რუხაძე** და ამავე სასახლის თანამშრომელი **ნინო რუსიაშვილი,** რისთვისაც მათ ვუხდი დიდ მადლობას და ვიმედოვნებ, რომ სხვა თანამდგომებიც გამომიჩნდება. ლექციის მიზანია: მოსწავლეებმა ადრეული ასაკიდანვე განსაზღვრონ თავიანთი სამომავლო საქმიანობა, მიიღონ სწორი მიმართულება და მიზანმიმართულად განახორციელონ ჩანაფიქრი. ლექციის წარმართვაში დამეხმარნენ ჩემი მოსწავლეები: **ნია ჯანელიძე, ბექა გელაშვილი-ჩორგოლიანი**, **ტატა ოქროჯანაშვილი** და **ლუკა გორგაძე,** რომლებიც სწავლობენ შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა **„ნინო''**-ში.

ღია ლექციაზე **ვაჟა კაკაბაძემ,** საინტერესოდ ისაუბრა ეკონომიკის, როგორც სამეურნეო საქმიანობის წარმომავლობაზე, რომელიც ჯერ კიდევ მითოლოგიაში, ბიბლიაში და ყურანშიც არის ასახული, ასევე, ეკონომიკური აზრის ევოლუციურ სქემაზე, სახალხო სამეურნეო საქმიანობაზე, ბიზნეს-გეგმაზე, კერძო საკუთრების უფლებებზე, საინვესტიციო საქმიანობის ფორმებზე, ინფლაციაზე და ა.შ.

საინტერესო თემები წარმოადგინეს სკოლა **„ნინო“**-ს მოსწავლეებმაც. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მე-11 კლასის მოსწავლის **ბექა გელაშვილი-ჩორგოლიანის** გამოსვლა. მან მიმოიხილა ბიზნესის ტექნოლოგიები, კერძო საკუთრების უფლება და ბიზნესის სფეროს კონცეფცია.

ლექცია ფოტო-სლაიდების ჩვენებითა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ბოლოს დამსწრეებმა ისაუბრეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, სასახლის დირექტორის **თინათინ რუხაძის** ღვაწლზე და ლექციების უშუალო წარმმართველს **ვაჟა კაკაბაძეს** გადაუხადეს მადლობა, გამოთქვეს სურვილი მის შემდეგ ლექციაზე დასწრების, რომელიც 15 დეკემბერს გაიმართება.

მზია გოგოძე



196-ე ბაგა-ბაღი - დედაქალაქის მრავალრიცხოვანი

ცეროდენებო, დედობრივი ზრუნვა არ მოგაკლდებათ

თბილისის 196-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბავშვო დაწესებულებაა დედაქალაქის მასშტაბით. იგი გამორჩეულია არამარტო მრავალრიცხოვანი კოლექტივით, არამედ პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, ამიტომაც არის, რომ ბაღში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი დიდია, მშობლები კმაყოფილები არიან და სკოლებიდანაც სამადლობელი ბარათებიც არ წყდება. თანამედროვე ატრაქციონებით, მწვანე ნარგავებით და ლამაზი ყვავილებით დამშვენებული ეზო მართლაც, მომხიბვლელია და პატარებს დიდ სიხარულს ანიჭებს. აქ ყველაფერი ესთეტურად მომხიბვლელი და შთამბეჭდავია. ბაღს სათავეში უდგას ახალგაზრდა და ენერგიული ხელმძღვანელი **ლია დემურჩევი**. იგი ღირსეული გამგრძელებელია იმ შესანიშნავი

ტრადიციებისა, რაც ამ საბავშვო დაწესებულებას წლების განმავლობაში გააჩნდა. თანამშრომლების მიმართ კეთილგანწყობილმა ხელმძღვანელმა, მალევე მოიპოვა ბაღის მესვეურთა ნდობა და სიყვარული.

ქალბატონი ლია პროფესიით ექიმია, მაგრამ პატარების სიყვარულმა განაპირობა ის,რომ თავისი საქმიანობა საბავშვო ბაღს დაუკავშირა. თავადაც ორი ვაჟიშვილის დედა საკუთარი შვილივით მზრუნველობს ბაღის აღსაზრდელებზე და ცდილობს, მათ ყურადღება თანაბრად გაუნაწილოს.

ლია დემურჩევი: დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი, ასევე, ფსიქოსომატიკის და ფსიქოთერაპიის ფაკულტეტი. 2016 წლიდან ვმუშაობდი 121 -ე ბაგა ბაღის დირექტორის მოადგილედ. 2019 წლის 15 აგვისტოდან კი, 196 -ე ბაგა ბაღის დირექტორად. რამდენიმე თვეა გასული და ჯერ ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით სამზარეულოების რემონტს. საკანალიზაციო სისტემის შეკეთებას და ა.შ. აქვე აღვნიშნავ, რომ განვაახლეთ საბავშვო მეთოდური ლიტერატურა და სათამაშოები. სამომავლოდ, ვგეგმავთ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მხარში გვიდგას ბაგა- ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ბატონი **კახა გვანცელაძე,** რომლის თანადგომით, ჩვენ მნიშვნელოვან სიახლეებს განვახორციელებთ. ბაღში სულ 777 აღსაზრდელია და 20 ჯგუფი 6 **„სასკოლო მზაობი''**-ს ჯგუფია. სამომავლოდ, 226 აღსაზდელს გავუშვებთ სკოლაში. ჩვენთან კვება არის დაბალანსებული და მისაღები , ყველა პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო ბავშვებისთვის.ბაღში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა ჩართულობას. მართალია, მშობლებს ჯერ ისე ახლოს არ ვიცნობ. თუმცა, გვაქვს ყველა ჯგუფის მშობლებთან გაცნობითი სახის შეხვედრა და ვიმედოვნებ, მჭიდროდ ვითანამშრომლებთ.

შემოქმედებითი პროცესი ბაღში შესანიშნავად მიმდინარეობს. ეტაპობრივად ტარდება ბაღის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლ **„გვირილას"** მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო ღონისძიებაშიც.

საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. პატარებს თამაშ-თამაშით ასწავლიან ყველა საჭირო უნარ-ჩვევებს. უვითარებენ აზროვნების უნარს და სკოლაში კარგად მომზადებულს აცილებენ.

ბაღის დირექტორი თავის მრავალრიცხოვან თანამშრომლებთან ერთად, ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. იგი, მართლაც, წარმატებით ხელმძღვანელობს აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას. მისი მოსვლის დღიდან ბაღი გამოცოცხლდა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა ავარიული იყო, ეტაპობრივად გაკეთდა კაპიტალური, გამაგრებითი სამუშაოები. ამჟამად, ეზო მოასფალტებული, მოპირკეთებულია და კაპიტალურად არის შემოღობილი. შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარითა და ლიტერატურით. ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული. ფოიეში შესვლისთანავე თვალს მოგჭრით ლამაზად მოხატული კედლები, ყვავილები, აპლიკაციები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები და პატარების ნამუშევრები. აღსაზრდელებს და მშობლებს მოსწონთ აქაური თბილი გარემო, უფროსების განსაკუთრებული დამოკიდებულება და აღმზდელების თავდაუზოგავი შრომა.

სასიხარულოა, როცა ასეთი მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და ერთობლივი ძალისხმევით ძალიან დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. 196-ე საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის ურთიერთგაგებით და თავდადებული შრომით. თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მულტიდისციპლინარული ჯგუფი, აღმზრდელები და მათი თანაშემწეები. აქ პატარების ჯანმრთელობაზეც შესანიშნავად ზრუნავენ და კვებაზეც. აღსაზრდელებს გემრიელ საკვებს უმზადებენ გამოცდილი მზარეულები. ჰიგიენა და წესრიგი მაღალ დონეზეა და მშობლებიც მშვიდად არიან.

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების და მათი დამხმარეების საქმიანობას, რომლებიც დედასავით მზრუნველობენ აღსაზრდელებზე. ხაზგასასმელია ასევე, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომაც.

196-ე ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა სიმშვიდე და კეთილგანწყობა, რაც აქაური მესვეურების და თითოეული თანამშრომლის დიდი დამსახურებაა. სწორედ, ამიტომ არის, რომ ბაღის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. მალე დადგება ახალი წელი, წინასწარ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

მზია გოგოძე

123-ე ბაგა-ბაღის ესთეტიკური ხიბლი

პატარების ზღაპრული სამყარო

ზღაპრულ სამყაროში, 123-ე ბაგა-ბაღის შენობაში შესვლისას თვალი გაგინათდებათ, აქ მაშინვე იგრძნობთ სისუფთავეს და წესრიგს. დერეფნები და ოთახები გაფორმებულია მიმზიდველი თვალსაჩინოებებით, სათამაშოებით, ყვავილებითა და

ცეროდენების შემოქმედებით. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით ინფრასტრუქტურა და სველი წერტილები მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია

თანამედროვე ინვენტარით.

123-ე ბაგა-ბაღი გლდანის მე-7 მიკრორაიონშია განთავსებული. აქ ყველაფერი მაღალ დონეზეა. პატარების აღზრდა-განათლებაზე მაღალკვალიფიციური აღმზრდელები ზრუნავენ და დირექტორი ყველანაირ პირობას ქმნის იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ.

ბაღის დირექტორი **ხათუნა ახობაძე** შესანიშნავი მენეჯერია, რომელიც ბრწყინვალედ უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. ზრუნავს ბაღის მოწესრიგებაზე

ლიტერატურული გვერდი

გურამ გედევანიშვილი – „ნაღდი თბილისელის“ სტატუსით

ნაღდი თბილისელობა ყოველთვის იყო პრესტიჟული წოდება. იგი პროფესიად აღიქმებოდა, სიმბოლურად კი განასახიერებდა პიროვნების საუკეთესო თვისებებს: უსაზღვრო სიყვარულს, ქველმოქმედებას, რაინდობას, ტოლერანტობას, მანდილოსნის მიმართ პატივისცემა-თაყვანისცემას. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა ბოლოხანს მახინჯი სახე მიიღო. დოლარებზე სულგაყიდულმა ტიპებმა, ვითომდა დემოკრატიის დამკვიდრებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით ქართველი კაცების ავტორიტეტი საზღვარგარეთ შელახეს. ქალები აქეთ გადმოვიდნენ ძალადობაზე და თავიანთ მამებს, ძმებს, ქმრებს უცხოელების თვალში შეუქმნეს იმიჯი, თითქოს ქართველი კაცები ჯალათები, , ველურები და ჯაყოები არიან. მთავარ თემას დავუბრუნდეთ.

„კოლორიტი თბილისელის“ თემას შორეულ წარსულში დაეძებნება ფესვები. აი, თუნდაც **იეთიმ-გურჯი** – ნაღდი კოლორიტი თბილისელი. უფრო აქეთ გადმოვინაცვლოთ. უბნების მიხედვით: **„პლეხანოველები“, „ვერისუბნელები“, „ვაკელები“, „ნახალოვკელები“.** კოლორიტი „პლეხანოველია“ სახელმწიფო მოღვაწე, თბილისის ყოფილი მერი, ხალასი მომღერალი **ნიკო ლეკიშვილი,** ასევე კოლორიტი იყო დიდი პედაგოგი, პოეტი და სწორუპოვარი თამადა **სიმონ სხირტლაძე**, რომელიც „კარგად სვამდა და ჭიქაზე ბულბულს სვამდა“... ასეთების ამქარში მეგულება ჩინებული პოეტი და ფერმწერი – **„ვერისუბნელი“ გურამ გედევანიშვილი** ფსევდონიმით **„გურა ანგურა“.**

ილია ჭავჭავაძეს „უგვირგვინო მეფეს“ ეძახდნენ. ზემოთმოხმობილ კოლორიტებს ჩვენ შეგვიძლია **„უგვირგვინო თბილისელები“** შევარქვათ, რადგანაც მაშინ მთავრობისგან ჯერ კიდევ არ იყო დაწესებული **„საპატიო თბილისელის“** წოდება.

გურამ გედევანიშვილი პოპულარული პოეტია. მას კარგად ვიცნობთ ჟურნალ **„ათინათის“, „ანთოლოგიის“,** გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის ფურცლებიდან, სხვა ჟურნალ-გაზეთებიდანაც.

დღეს იშვიათად თუ ვინმე წერს პოემას, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, ვერ ბედავს. ამ თვალსაზრისით გურა-ანგურა დიდი ვაჟას არა მიმბაძველად, არამედ გზის გამგრძელებლად გვევლინება. ქართული **მითოსის** თემაზე დღეს ამ ნაწარმოების ბადალი არ მოიძებნება. **„მორიგე ღმერთმა ღვთისშვილნი დასხნა გერგეტის მთაზედა“** – ასე ქვია ამ პოემას.

ჯერ ავტორის კონცეფციას გავეცნოთ, მერე კი – თავად პოემას.

ბორის მიშველაძე

ქართული მითოსი

ქართული მითოსური სამყარო უკიდეგანოა. ის ვულკანური დანაშრევების ტოლფასია, სავსეა საკვირველებებით, მიგნებებით, აღმოჩენებით და კიდევ ბევრზებევრია მისაკვლევი, მოსაძიებელი. ამოსაზიდია ქართულ მითებში განმარხებული სამყაროსეული კოსმოგონია. ამ ნატვრის თვალში შემკვრივებულია უდიდესი ვნება ქართველი ერისა; მისი ტანჯვა, შრომით და ბრძოლით დაღვრილი ოფლი და სისხლი, ძლევა შიშისა, სიკვდილითა თრგუნვა სიკვდილისა, რწმენა სიკეთისა, სიყვარულისა, სათნოებისა, თმენა, ძალი მიტევებისა და გაძლება სიცოცხლისა.

მითოსი სავსეა სასწაულებრივი ქმედებებით ნახევრად ღვთიურ გმირთა თავდადებისა და თავგანწირვისა ადამიანთა და ხალხთა ბედნიერებისათვის, ნაწილიანთა (მხარგანათლულთა), ღვთისშვილთა და უზენაესის – მორიგე ღმერთის ზრუნვითა და მონაწილეობით ბრძოლებში, ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ, მათი ალაგმვისა და საღვთო წესრიგის დამყარებისათვის. მითოსი გაჟღენთილია სულიერებით, მყობადის იმედით, ღაღადისით, ლოცვით, ომახიანი სიმღერებით თავდადებულ გმირებზე, მათი ღვაწლის არდავიწყებაზე და უკვდავყოფაზე.

გურა _ ანგურა
/გურამ გედევანიშვილი/.

ღვთისშვილთა ბრძოლა დევ-კერპებთან საყმოს ლაშქართან ერთად

(ნაწყვეტი მითოსური პოემიდან)

დაძენძილ-ჩამოხეული,
ნაკაწრი, სისხლთა ღვარებით,
ოფლგახვითქული სხეულით,
თვალისთვის შესაბრალები,
ნავალი ღადა-ღუდეში,
დაჭრილი ეკალ-ბარდებით,
უვალ ბილიკთა მრუდენით,
ნათრევი სივრცის კატებით,
ლაშარის საყმოს მოადგა
კაცი, უცნაურ ხატებით,
ძლივს ლუღლუღებდა ერთ ამბავს,
ჰყვებოდა სულთა ღაფებით;
დევებმა დაგვაწიოკეს,
დაგვხაფეს, დაგვარბილესა,
ვერც რა გადურჩა იმ ოხრებს,
იმათ ალესილს კბილებსა,
ცეცხლს მიგვცეს, ღველფსა, ღადარსა,
გაგვწირეს დიდნიც, მცირეცა,
გვაჭმევდნენ სისხლის ფაფასა,
გვინგრევდნენ სახლის დირესა.
სულ, ერთიანად წაასხეს
ჯალაბნი, საკლავ-საწირი-
სარჩო, ესეც არ გვაკმარეს,
გვიხრაკეს მიწის ხავიწი.
ვინც შესძლო თავი შესწირა,
ვინც არა, დაგვიბეგვესა,
ტყავი გაგვაძვრეს სამპირად,
მაგრად გვიკრავდნენ ხელებსა,
ფეხებში ხუნდებს გვიყრიდნენ,
მონად მივყავდით ბნელეთსა,
მალ შეგვწირავდნენ ბინდ-ბუნდებს,
მდუღრსა მიგვცემდნენ ცხელებსა.

* * *

ლაშარის მკადრეს მოუხმეს,
მკადრეს ბრძენს, მისანთ-მისანსა,
იმ არემარის ხევისბერს,
ფიც-ვერცხლით დასაფიცარსა,
იმანაც თემი შეჰყარა,
საყმო, ერთგული ზენისა,
უნდა შესთხოვონ ღვთისშვილთა;
ჯავრ ამოჰყაროს მტერისა,
ამცნონ სხვა თემთაც, ხატებს
ევედრნონ მუხლთა მოყრითა,
კაცნი აფრინეს, მალ-მალე
აუწყონ ზეცის მოდგმისას,
ანგელოზთ, საყმოს მფარველებს;
იხსარს, კოპალს, თერგვაულს –
ბადურს – რკინისმჭამელებს,
მათ ლაშქარს, ნისლში გარეულს,
ლომებზე ამხედრებულებს,
ლურჯებზე ფაფარშლილებზე,
ჯიქებზე, მზეში გამხედვურთ,
ტინებზე ჩამოშლილებზე,
მოვიდნენ, საყმოს მოჰხედონ,
საყმოს, ბექთარში, სხმულებსა,
არწივის ფრთები მოასხან
ბედაურთ დარახტულებსა.
მემრ, წინ წაგვიძღვნენ ქუფრივით,
ღრუბელნი ტყვია-ტყვიები,
ცეცხლით და ჭექა-ქუხილით
ნაპრალზე შენატირები.

* * *

ნიშთან მარტოა მისანი –
მკადრე, თავკაცი თემისა,
ღვთაება – გულისფიცარი
ტანჯვის, გაძლების, თმენისა
დაჰყურებს ღვთისკაცს, შაესმის
ვედრება, გულნიც ქვაბისა
სკდებიან, იმ ზარს ვერ უძლებს
ჭიუხნი, სალის კლდენისა,
მიწა იშლება, ცხენების
ფლოქვით და ნალთა წკრიალით,
ცად ატყდა ელვის ენები,
ლახტების ბზრიალ-ბზრიალით.
ცისფერი ალით ბრიალებს
თასი ნავთის და ცეცხლისა,
ბერ-ბაადური მზიანეთს
დევთა დაუხმობს მეხითა,
ბექთარ-ჯავშანი უხდება
ლომისას ბრტყელის ბეჭითა,
წამოვა ღრუბლის ქულებად,
მთას გადმოდგება ბექითა,
გიორგი ნაღვარმშვენიერს
ხმითა მოუხმობს ჭექითა,
გორდას შეუქებს გაფერილს
მჭრელსა, ვერცხლისა ფერითა.
იმათი ნიავქარები
ფაფარს უწენენ ცხენებსა,
ნალთა ქვეშ გავლა-გამოვლით
აჩვევენ ფრენა-ფრენებსა.
ჯიხვებრა ხტიან ქურანნი;
თაფლა და ფშატის ფერები,
რაშები დაუწუნარნი, –
– ფერცხალს ჩამკიდი ძერები.

* * *

მათ შორის არის აგუნა,
აგუნა ნაღვერდლიანი,
ქაჯავეთიდან დაბრუნდა
სხვა მთვარით, სულთა მზიანით,
მცნობი ათასგვარ ჯურისა;
ფანდის, ხრიკის და ხერხისა
ზრახვების, ბოროტ სულისა,
მაცილთა – ფლიდი ეშმისა,
დევთა და ქაჯთა ვერაგი
გამიწვრილების ცნობისა,
მაქციაობის პერანგი
როგორ მოირგონ, როდისა,
სულ იცის მათი გზა-კვალი,
ასავალ-დასავალები,
როკაპის, მისი დაქალნის;
ტყაშმაფნის, კლდისა ალების,
ჭიკნათ და ჯუჯა ტყისკაცთა –
– კოჩების ოჩოპინტრობა,
ქვესკნელის გველის ცად ასვლა,
სიცრუე და ორპირობა.

* * *

ვოჟთ უჩანთ კუპრი სახენი,
შუბლზე დამსხდარი კოპები,
მჭიდროდ შეკრულნი ბაგენი,
თვალტა ბრჭყვიალა ორბები,
ქერეგო ქვიშის ნათელით,
ყვრიმალნი, კისრის ძარღვები,
დათვის დიდრონი თათები,
შემშრალი ოფლის ძაფები,
ცალფუთიანი მკლავები,
კლავები – ლომის ტორებო,
ნესტონი – მქშენი რვალები
არწივის, ბროლის მდომები.
რა დაუდგება სვილისფრად
ზვავსა დაკიდულს ნაპრალზედ,
ფრანგულსა, ჯვარსა ფარ და ფარ,
ცელსა, ფერდს ჩამომავალზე,
ღვარცოფსა, რუხის მგლებისას,
მუხლმოუღლელი ჯიშისას,
გულში რკინათა მდებისა,
უძვრელს, გულადსა, უშიშსა.
ჩალისფერ დროშებს არხევენ,
დროშებს – დიაცთა ნაქარგსა,
მათი ლოცვანი ტან სდევენ
საყმოს – ღვთაების ლაშქარსა.

* * *

ღადონა – მაცნე ამბისა
წინა სდგას, ჯარის თავშია,
გზა ამან იცის, ქარის ხმაც
თავს ახვევია არშიად,
დასწივლა ქარმა მტირალმა,
კვნესა აღმოხდა ხევებსა,
წინ ჯვარი გამოისახა,
მკადრე აღმართავს ხელებსა:
– ილოცეთ, ხატზე ილოცეთ,
გაგვმარჯვებოდეს მტერზედა,
ცით შიბი ჩამოიწოდეთ,
გამოწრთობილი კვერზედა.
სიცოცხლეს შემწირველებო,
სიკვდილის მავიწყარებო,
ციხენო კირით ნაგებნო,
ზვავის უწყვეტო ქანებო,
ჩვენ დღეს გვეძლევა მარადის
აქ, მოვიპოვოთ სახელი,
მტერს, მამულისთვის, შევაკვდეთ,
არვინ შეგვექმნას მძრახველი.
– შემფიცეთ, ხატზე შემფიცეთ!
– ვფიცავთ! – ღაღადებს ლაშქარი,
– უკან გამქცევი დამიწდეს
ქალის მოიგდოს თავშალი!

გაგრძელება მე-13 გვ.

ლიტერატურული გვერდი

ახალი წელი მოდის — ნაირას ლექსებიც მოქრის

ცხრა მთას გადაღმა არ გეგონოთ ახალი წელი. მალე მოგვიკაკუნებს. საბავშვო პოეტ **ნაირა ნიჟარაძეს** „გულმა როგორ გაუძლოს, ის რომ ლექსებით არ მოგილოცოთ“. და აი, ისიც წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, მამულიშვილთა ხსოვნაზე გვესაუბრება.

* * *

ნაირა ნიჟარაძე

მასწავლებელი

/დოც. ქეთევან ძოწენიძეს/

ის იყო ბრძენი მასწავლებელი,
ლაღი ბავშვების კოხტა მეგზური,
იდგა დაფასთან, ვით ღვთისმშობელი,
ცარცით ძერწავდა ქართულს ერთგული.

ძნელი ცხოვრების ვრცელი მინდორი,
გადავიარეთ შრომით და ბრძოლით,
ჩვენ მოვიხადეთ სამშობლოს ვალი,
ისევ ვიბრძვით და გვიმზერს მზის თვალი.

როგორც ცის ნამი – არ გვავიწყდება,
მრავალ სიკეთის ქალი-მრჩეველი,
იგი ლამაზი და ღვთისნიერი,
მთვარე – ბრწყინვალე მასწავლებელი.

დაფასთან იდგა დედოფალივით,
გაშლილი თმებით, შრიალა კაბით
და გვასწავლიდა ქართულს ხმატკბილი,
მხრებზე მოსხმული ფერადი შალით.

მივჩერებოდით ცასავით ნათელს,
არ გვაწუხებდა ამ ქვეყნის ჭირი,
დრო კი გაფრინდა მეტეორივით,
აღარც გვაცალა მშვიდობით ძილი.

ცოდნის და სიბრძნის მომწოდებელი,
ქართულ ზნეობის იყო მხლებელი,
გაშლილ ვარდივით დამრჩა ხსოვნაში,
ის მშვენიერი მასწავლებელი!

მუდამ დარჩები!

/ანზორ ჯაფარიძეს/

შენ გაგიმარჯოს, ქართველო,
რომ წუხდი სოფლის ნგრევაზე,
ყოფილხარ წინაპარივით,
ახოვანი და ენამზე.

სოფელი – ქვეყნის სიმდიდრე,
მარჩენალი და მკვებავი,
ო, არასოდეს ყოფილხარ
ძირს დაცემული მხედარი.

ვინ დაამცირა ამგვარად,
ხალხი გულადი, მედგარი,
ვინ მიატოვა სამშობლო,
ვინ მიატოვა დედანი?!

ჩვენთვის არ არის ახალი
მტრის მოზღვავება საზღვრამდე,
საკუთარ მინის მოყვარე,
ოღონდაც, შვილი გაზარდე.

ცვალებადია ბუნება,
ცვალებადია დრო-ჟამი,
ჩვენი მდიდარი სოფლების
კვლავ შრიალებდეს დროშანი.

სარეველები ბევრია,
მიწა გვაქვს, როგორც სანთელი,
მინდა მსოფლიოს ვაცნობო –
მუდამ დარჩება ქართველი!

ბებოს სანახავად მოვიდა

ალექსანდრე შემოიჭრა,
იგი ყველას ახარებს:
ბებო ავად გამხდარაო,
უნდა ვნახო ახლავე!
ბებოც ნახა, ლეკვიც ნახა,
მოეფერა ფისუნას,
ყველასათვის სიყვარული
და მშვიდობა ისურვა.

რთველში

კახეთში რთველში წავიდნენ
ბავშვები მეტად ანცები,
ბებომ ჩაუწყოთ ჩანთაში
ნაზუქები და ნამცხვრები.
მიდიან დათო, დემეტრე,
ანასტასია, ნათია,
– ყურძენსა დავკრეფთ – რქაწითელს,
მზეს რა მცხუნვარედ ანთია!..

პატარა და დიდი წიგნები

ეს პაწაწუნა წიგნაკი
სავსეა სიბრძნით,
სავსეა ხიბლით,
ვითა ნიჟარის
თვალმარგალიტი.
კითხულობას ამბავს,
ყოველთვის
გულით განიცდი...
რა გელოდება ეს კი მაინც,
არა, არ იცი.

„რანინა“

კონსტანტინეს უხარია,
– ახლა უკვე დიდი ვარო,
ქუთაისი მივატოვეთ,
„რანინაზე“ მივდივარო.
ჩვენ თბილისი თბილად გვხვდება,
დიდი უფლის წყალობითო,
ვიმღერებთ და საქართველოს
გავახარებთ გალობითო!

ბავშვებო, შეიყვარეთ საქართველოს ფაუნა!

საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია** ბევრს ზრუნავს, პატარებს თავიდანვე შეაყვაროს საქართველოს ფლორა და ფაუნა, განაცდევინოს ჩვენი „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტის“ ზეაღმტაცი სილამაზე. ცეროდენების პოეტი ამავე დროს ბრწყინვალე პედაგოგია და სხვაზე მეტად იცის მოზარდის ფსიქოლოგია, კერძოდ ის, რომ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.“

* * *

ლეილა ვადაჭკორია

ძეცდომა

ბოჩოლას თავის სახლი აქვს,
ბომბორას სახლს ყველა აქებს,
ღრუტუნასაც აუშენეს,
ბატებს, იხვებსაც და ქათმებს.

ინდაურები გაბრაზდნენ:
სხვებს რომ უშენებთ სახლებსო,
ჩვენ რაღა დაგიშავეთო,
არ ვიმსახურებთ ამდენსო?

– ნუღარა გაიფხორებით, –
მათ მოეფერა მალხაზი, –
დღესვე უნდა შევადგინო
თქვენი სახლის ნახაზი.

მამლაყინწა

მამალო, მამლაყინწაო,
რა ადრე გაგეღვიძაო,
ღამემ შეგაკრთო, ან მთვარემ,
ან ტვინი დაგებინდაო.

ჯერ ხომ არ გათენებულა,
მამალო, ძილს რად არ მაცლი?
იცოდე, ნუ გამაბრაზებ,
თორემ მაგ დეზებს დაგაცლი.

მურიკელა

მურიკელას დაუგროვე
სასუსნავად ძვლები,
მივართვი და მადლობაო, –
მითხრა კუდის ქნევით.

მადლობა იქით ეკუთვნის,
ჩვენი ერთგული მცველია,
სულ ფხიზლად არის მურიკო,
აგერ, რამდენი წელია.

ჭკვიანი ბატები

რა კარგად მოიბალახეთ,
იცურავეთ მდინარეზეც,
საღამოს ისევ დამწკრივდით
მიმდევრობით სიმაღლეზე.

მერე, ჩემო ბატუნებო,
გზაც ჭკვიანად გადაჭერით,
ნბატს უჭკუოს ვინც ეძახის
ყურები აქვს ასაწევი.

ღრუტუნა

რად ვერ ისვენებ ღრუტუნა,
კისრამდე ხარ სალაფავში,
მაინც ღობე გაანგრიე,
გადაძვერი სხვის ბოსტანში.

უღელიც მიტომ დაგადგეს,
კიდევ არ გაძვრე ღობეში,
შენი წუწკობის ბრალია,
ღრუტუნავ, წუწუნს მოეშვი.

როგორ გულდაგულ დაგბანე
კამკამა წყლით და შამპუნით,
მერე სიმინდი მოგართვი,
ხომ გემრიელად დაპურდი?

შენ კი რა ჰქენი? წადი და
ამოიგანგლე ტალახში,
ეს რა ბინძური ყოფილხარ,
მიტომ ღრუტუნა დაგარქვი.

ლიტერატურული გვერდი

გურამ გედევანიშვილი – „ნაღდი თბილისელის“ სტატუსით

მე-12 გვერდიდან

* * *

აგუნა ნაღვერდლიანმა
შურთხივიტ დაუსტვინაო,
ნისლამ არ დაიგვიანა,
ფეხი დაადგა წინაო,
გალურჯდა ფერცხალტ თავები,
ვულკანის გულის ბაგუნით
ლავის მდუღარე ღვარებით
ცელქი ნიავიც დადუმდის,
ჩუმად დაიძრნენ მწყობრები,
წალიკ ჩამწკრივდნენ წინანი,
ენძელათ ჩუმი კორდები
გახდნენ ბინდისფერ მფრინავნი,
სულ მოკლე გზებით იარეს,
ლახეს მდინარეთ ფონები,
ჰა, დევთ სადგომსაც მიადგნენ,
ატყდა სასტიკი ბრძოლები.
მოულოდნელი თავდასხმით
დევნი, მათ არამლოდენი,
გადაყირავდნენ გაიქცნენ,
ფარად იფარეს ლოდები,
ძლივ და ძლივ გონსა მოეგნენ,
იხილეს დამამხმობელნი,
შეჰბღავლეს, ტანთა შაიბეს
ლახვარნი, სისხლში მწობელნი,
გადმოერივნენ ხატის ყმათ,
როგორც დევების წესია,
ქვევით მიწანი დაიძრა,
ლახტნი გამართეს მკვესია,
დაუჭრეს საფეხურები,
უწყვიტეს წვივთა სამაგრი,
უფლითეს რკინის პერანგნი,
თავზედ რკინისა ჩაჩქანნი,
მკერდზე ბექთარის რვალები,
ფარები, შუბის პირები.
დევთა ლოდებრი დახვედრა,
ვისაც უხილავს თვალითა,
ტყავი თუ ერთხელ გახევდა,
არ გაიჭრების რვალითა.

* * *

ვერ შეაჩერეს, მაინცა,
ცა იცან ღრუბელთ სიზრქითა,
თითებს დაიმტვრევს ქარიცა,
მეწყწრეს მოსწყდება ყინწიცა.
და აჰა, გატყდნენ დევებიც –
– დევები უჩინარები,
ჩამოაწითლეს ხევები
სისხლითა – უდინარებით,
ვერ უძლეს ისართ წიოკსა,
წივილსა მაწევრისასა
სეტყვა – წვიმისებრ ხივილსა,
სისწრაფეს ქარიშხლისასა,
ყმათა წინწადგმულ ნაბიჯებს,
მახვილებს სატევრისასა
სიმოკლე არ ეტყობოდათ,
სცემდნენ ნაკურთხებს ღვთისასა.
აღგავეს მიწის პირთაგან,
მოხვეტეს ბზეზე – ბზენია
ცაში ღვთისშვილნი ვინც ნახა
სხივნი და მათი მზენია,
მარჯვედ ნასროლი ჰოროლი,
ჩუგლუგის დარტყმა გენია,
მეხის გაბმული ქოქოლი,
ელვის ციცინა ფერია,
ჩავლილი ნიაღვარივით
ხეობა, ნაგოდებია,
დიდი ტირილი, ზარის ხმით,
დრო – სივცეთ მოჰგონდებიან.
შუბთ დაუსველდათ ენები,
სისხლს დაენაფნენ ტფილებსა,
ბინდით დამძიმდნენ ხევები,
მკერდით დააკვდნენ შვილებსა.

* * *

ღამე უძონძავთ ვარსკვლავებს,
ვარსკვლავებს უძინარებსა,
სამყარო წვრილად დამარცვლეს
საგზლად მიუგდეს მთვარესა,
დასერეს უხილავებმა,
უჩინნი სივრცის ღარები,
სევდა – ნაღველის მჭამელა
დრო – ჟამი ამაჩქარები.
წვანან სიცოცხლის შვილები,
ჩახუტებულნი სიკვდილსა,
ციაგნი ცივად შლილები
ჰკრეფენ წარსულის ღიმილსა,
მიაქვთ ბავშვური ოცნება,
თალხი, სულხდომის კვნესისა,
რაიც სოფელში მოხდება
დაუწერელის წესითა,
ყველას წაიღებს ნიავი,
ჩუმის მტირალის სტვენითა
იქ, ეტყვის; ვინა – ვინ არის,
ღვთაებას ქების-ქებითა.
მაშინ შემიჰხვევს მკლავებსა
გმირებსა, ამაჟრჟოლებსა,
როგორაც დედის ალერსსა
ცრემლის ჩამოჰყრის ბროლებსა.

◆

რედაქტორის მინაწერი:

მკითხველო, ყურადღება მიაქციეთ ამ პოემის საოცარ სტილურ ორიგინალობას. ამ ნაწარმოებში მხატვრულად გაცხადებულ-განსახიერებულია ქართველი კაცის ხასიათი: ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის მოვალეობა, მაღალი ზნეობა, მოყვასის სიყვარული, თანადგომის, „ჭირთა შიგან გამაგრების“ სანუკვარი ოცნებები.

„ღმერთო, ღმერთო, ეს ნატვრები მალე ახდეს ჩვენს მამულში!“

ილუსტრაციები ავტორისა

სპორტი, ანუ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

ბექა მაზანიშვილის მსოფლიო წარმატება

ძალოსნური სპორტის ერთ-ერთი სახეობა **პაუერლიფტინგი** სხვადასხვა მოძრაობით – ჩაჯდომა, წოლჭიმი და ამოწევა – სიმძიმეების აწევას ითვალისწინებს. საქართველოში სპორტის ეს სახეობა თანდათან ვითარდება და ამჟამად, სულ უფრო მეტი სპორტსმენი აღწევს წარმატებას საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით. სხვადასხვა მოძრაობის შესრულება მძიმე შტანგით, სპორტსმენისგან დიდ ფიზიკურ ძალასა და მომზადებას მოითხოვს. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული **ბექა მაზანიშვილი** 12 წლის ასაკში ჭიდაობით დაინტერესდა. მისი პირადი მწვრთნელი **გივი ფოთოლაშვილი** იყო. 14 წლის ასაკიდან კი **ძალისმიერი სამჭიდის** მიმართულებით დაიწყო ვარჯიში. შეჯიბრებებზე ახალგაზრდებს შორის, ყოველთვის საპრიზო ადგილებზე გადიოდა, შემდეგ ჩემპიონიც გახდა. ბექამ სპორტული კარიერის მანძილზე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია: იგი არის **ბრიტანეთის** საერთაშორისო ჩემპიონატის გამარჯვებული **2013-2014** წლებში; **კანადის** ჩემპიონი კანადის ღია ჩემპიონატზე **2016-2017** წლებში; **2018** წელს კი **აშშ-ში** მიიწვიეს და **ამერიკის** ღია პირველობაზე ჩემპიონიც გახდა; ამ ყველაფერს კი ბევრი წარმატებული ასპარეზობა მოჰყვა. 2005 წელს, ტრავმის გამო, მსოფლიო ჩემპიონატზე მე-2 ადგილი დაიკავა. თავდადებულ შრომას კი **2007 და 2008** წელს ისევ გამარჯვება და **მსოფლიო ჩემპიონობა** მოჰყვა, მსოფლიო თასის გათამაშების მფლობელობა და ბევრი სხვა. საქართველოში დაწყებული წარმატებული სპორტული კარიერა აშშ-ში, **ფილადელფიაში** გაგრძელდა, სადაც კლუბებს შორის შეჯიბრებებში იყვნენ ჩამოსულები საუკეთესო სპორტსმენები. ეს არის საკმაოდ მაღალკვალიფიციური ჩემპიონატი, სადაც ფედერაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დოპინგ-კონტროლზე, რაც სუფთა, დანამატებისგან თავისუფალ, ჯანსაღად ნავარჯიშებ სპორტსმენებს ნიშნავს. ქართველმა სპორტსმენმა ორ დივიზიონში – **წოლჭიმსა** და **აწევათა გამეორებაში** მიიღო მონაწილეობა და ორივეში **პირველი ადგილი** დაიკავა. ამავე ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მისი მოსწავლეები: **თემო დვალიშვილი,** რომელიც ახალგაზრდებს შორის 23 წლამდე ასაკობრივ დივიზიონში **ჩემპიონი** გახდა და **ფარედ ჰამრაქული**, რომელმაც წოლჭიმში **მეორე ადგილი** დაიკავა ღია ასაკობრივ დივიზიონში.

ბექა მაზანიშვილი: „ამერიკა არის ქვეყანა, რომელიც საშუალებას გაძლევს შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინო და მეც ვცდილობ ჩემი მონაცემები კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავწიო. ეს სპორტი ამერიკული სპორტის სახეობაა, აქ წარმოიშვა და ბევრი ძლიერი სპორტსმენიც ჰყავთ. პაუერლიფტინგში ქართველებმაც ჩვენი ღონე და სიძლიერე გამოვაჩინეთ. აქ მთავარია აჩვენო, რა შეგიძლია და ნიჭსა და შრომისმოყვარეობას არ დაგიკარგავენ“.

წლევანდელმა წელმა წარმატებით ჩაიარა და მსოფლიო ჩემპიონობითაც დაგვირგვინდა, თუმცა სამუშაო კიდევ ბევრი აქვს, ახალი რეკორდებით და თავისი მოსწავლეების მიღწევებითაც უნდა რომ იამაყოს.

„ჩემპიონობა საოცრად ამაღლებული განწყობაა, შეუდარებელი, რომელიც სპორტსმენის გარდა სხვა ადამიანს შეიძლება არც დაეუფლოს. სპორტში წარმატება დიდ შრომას მოითხოვს და როცა ეს შრომა გიფასდება, ძალიან საამაყოა. უძლიერეს სპორტსმენებს შორის მსოფლიო ჩემპიონი რომ ხდები საოცარი შეგრძნება და ემოციაა”, - ამბობს ბექა მაზანიშილი.

ჩვენის მხრივ, ქართველ სპორტსმენს გულშემატკივრების მრავალგზის გახარებას და წარმატებებს ვუსურვებთ.

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორი

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N14 (4589)
20 ნოემბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113